# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 აპრილი, 2012 წელი.

№72 (6949)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## ნაციონალებს ხმას არ მივცემ! 3



## მინისტრის ფარსი – „პირველკლასელთა შაშკინიადა“ 2



## მორიგი „საჯარიმო დარტყმა“ მთავრობისგან 6



## სააღდგომო შეწყალება – დამატებითი ხმები ნაციონალებისთვის! 7



## ვიბრძოლოთ ისეთი კანონისთვის, რომელიც შეაჩერებს ერის გადაგვარებას, დაუჯერებლად მზარდ ტენდენციას და კატორღიობას იხსნის მე-20 საუკუნის ამ ჭირისგან 4

## ეკონომიკური სანქციები და ჩრდილოეთ კორეა 5



## რეზერვი – მტერი თუ მოყვარე? 9



## 8 რუსეთმა თავად დაკარგა „ღია ცა“

◉ დეკრეტული შვებულება



# პატრიარქის ინიციატივები განსჯის საგანი ხდება

**რა გამოხმაურება მოჰყვა პატრიარქის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ინიციატივებს? სააღდგომო თუ საშობაო ეპისტოლეებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხშირად ამახვილებს ყურადღებას ქვეყნისა და საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხების შესახებ, მაგრამ ხელისუფლება მხოლოდ უმნიშვნელო მათგანზე თუ რეაგირებს.**

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი გოდაბრელიძის ინფორმაციით, დეკრეტული შვებულების გახანგრძლივების და პატრიარქის სხვა ინიციატივის განხორციელება მთავრობის დადგენილებაზეა დამოკიდებული. საპარლამენტო კომიტეტს მსგავსი ინიციატივის განხილვა ჯერ არ დაუწყია და ნებისმიერი წინადადება, რომელიც საბიუჯეტო ხარჯების ზრდასთანაა დაკავშირებული, მთავრობის დონეზე წყდება.

„დეკრეტული შვებულების გაზრდის გადაწყვეტილებაც სწორედ მთავრობამ უნდა მიიღოს“, — აცხადებს გოდაბრელიძე.

პატრიარქი სააღდგომო ეპისტოლეში რამდენიმე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ინიციატივით გამოვიდა. ერთ-ერთი მათგანი გადასახადების შემცირებას და დეკრეტული შვებულებების ზრდას ეხება.

„დაბალია ეროვნული წარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებელი; ბაზარზე დომინირებს იმპორტული საქონელი; არარეალურადაა გაზრდილი გადასახადები, მათ შორის კომუნალური, შემოსავლის წყარო კი დაბალანაზღაურებადია. საჭიროა ისეთი კანონების მიღება, რომლებიც შეამცირებს გადასახადებს, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის სფეროში, რათა იგი გახდეს დაინტერესების საგანი.

სასურველია, დახმარება გაეწიოს გლეხურ მეურნეობას, რომ მათ შეძლონ მიწის დამუშავება, თესლის, სასუქისა და სხვა შესაწამლი საშუალებების შეძენა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა და გადამუშავება. სარეალიზაციო ბაზრის მოპოვება კი, ვფიქრობთ, სახელმწიფოს არ გაუჭირდება, მასზე მსოფლიოში მოთხოვნა დიდია“, — აღნიშნავს უწმინდესი.

პატრიარქის აზრით, თუ ეს განხორციელდა, მოკლე დროში შესამჩნევი იქნება წინსვლა და ხალხს შრომის სურვილი დაუბრუნდება.

უწმინდესის აზრით, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში შემოტანილი თუ ადგილობრივი წარმოების პრეპარატის ხარისხს.

„სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს ჩვილობის ასაკში ბავშვისა და დედის ერთად ყოფნის ხელშეწყობა და დედისთვის ხელფასიანი შვებულების თუნდაც ექვს თვემდე გაზრდა. დღეს სერიოზულად ზრუნავენ დაავადებათა პროფილაქტიკასა და მათ ადრეულ გამოვლენაზე, რაც ძალიან სწორია და აუცილებელი“, — აღნიშნავს უწმინდესი.

გარდა ამისა, პატრიარქი მიიჩნევს, რომ ჯანდაცვის სფეროსა და ეკლესიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა უნდა გაგრძელდეს.

საქართველოს კანონმდებლობით ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო აღებული ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების მოცულობა 126 დღეს შეადგენს.

ახალი ეკონომიკური სკოლის პრეზიდენტის პაატა შეშელიძის განცხადებით, დეკრეტულ შვებულებას მთავრობა ანაზღაურებს და 6 თვემდე ამ ვადის მოცულობის გაზრდა დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

„თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოში ფულის წვიმები მოდის, ძალიან ცდება“, - აღნიშავს რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას შეშელიძე. მისი თქმით, კერძო კომპანიები დეკრეტული შვებულების შესახებ გადაწყვეტილებებს თავად იღებენ, ეს საკითხი ხშირ შემთხვევაში ინდივიდუალურ დონეზე წყდება და მასში ვინმეს მხრიდან ჩარევა გაუმართლებელია.

**ეკა ბაქრაძე**

◉ ფრთხილად, „შესვლა აკრძალულია!“

# ვანო მერაბიშვილი რუსთაველ პედაგოგებს და სასაფლაოს დირექტორს შეხვდა

**ქვემო ქართლის რეგიონში არჩევნებისთვის დიდი სამზადისი დაიწყო. ნაციონალური მოძრაობის ძველი სახეები, რეგიონში მათ ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს, საჯარო სკოლების პედაგოგებს, საბავშო ბაღების და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებს შეხვდნენ.**

გუშინ რუსთავს ვანო მერაბიშვილი, ჯანდაცვის და განათლების მინისტრის პირველი მოადგილეები და გიგი წერეთელი სტუმრობდნენ. მათი მთავარი მასპინძელი რეგიონის გუბერნატორი დავით კირკიტაძე იყო. პედაგოგებთან შეხვედრა ორ დაწესებულებაში — „რუსთავის თეატრსა“ და რუსთავის „კინო რუსთაველში“ შედგა.

ორივე შეხვედრა დახურული იყო. ჟურნალისტებს ადგილობრივი თვითმმართველობის პრესსამსახური და დაცვის წევრები შენობაში შესვლის საშუალებას არ გვაძლევდნენ. დაბურულმინებიან მანქანებში მჯდომი პირები კი ფოტოებს გვიღებდნენ, ჩვენ გადაღება დაცვის თანამშრომლები გვიშლიდნენ.. „გადაიღოს, რა პრობლემაა. ხელი არ შეუშალოთ“ — შეხვედრიდან გამოსული მერაბიშვილი პატარა ბავშვებივით არიგებდა ჭკუას დაცვის წევრებს.

იმაზე, თუ რა თემებზე ესაუბრა მერაბიშვილი რუსთაველ პედაგოგებს, თავად შეხვედრიდან გამოსული საზოგადოება საუბრობდა. „ბატონმა ვანომ თავისი ჩვეული იუმორით ისაუბრა იმაზე, თუ რა რთული პერიოდი გამოიარა ქვეყანამ და ახლა რამდენად შემცირდა ჩვენთან დანაშაული. მართლაც, ვეთანხმები მას. დღეს თავს ბევრად უსაფრთხოდ ვგრძნობთ“, — საუბრობდა რუსთავის მე-15 სკოლის პედაგოგი ვიოლეტა მუსხელიშვილი. შეხვედრიდან დადებითი განწყობით გამოვიდა 27-ე ბაღის მთავარი ექიმი ნანული ქორიძე. „ჩვენ აქ ნაციონალური მოძრაობის და ჩვენი ხელისუფლების მხარდასაჭერად ვართ მოსული. ერთიან საქმეს ვაკეთებთ და ახლაც ერთად უნდა დავდგეთ“, — საუბრობდა მერაბიშვილთან და კირკიტაძესთან ერთ მუშტად შეკრული ქორიძე.

მას შემდეგ, რაც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლის მოხსენებები მოისმინა, რუსთაველმა პედაგოგმა მარინა კახაძემ აღნიშნა, რომ „ახლა დაინახა თვალნათლივ“, თუ რამდენი რამაა უკეთესობისკენ შეცვლილი. „დღეს კიდევ ერთხელ თვალნათელი გახდა ჩემთვის ქვეყნის წარმატებები და წინსვლა. მიხარია, რომ ამ ეპოქაში ვცხოვრობ. ღვთის წყალობით, ალბათ, კიდევ უკეთესობა გვექნება. სტუმრებმა სხვადასხვა თემაზე ისაუზრეს. ბ-ნმა დავით კირკიტაძემ ისაუბრა ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. მერაბიშვლმა კი დარბაზში იკითხა, ვინ არის ქალაქის პოლიციის უფროსიო. პასუხი დარბაზში არავინ იცოდა. აღნიშნა, რომ ამითაც ჩანს ქალაქში პოლიციის კარგი მუშაობა“, — ყვებოდა აფრთოვანებული კახაძე.

Presage.tv შეხვედრის ფოტოების გადაღებას „კინო რუსთაველის“ დაბურული მინიდან ცდილობდა. ჩვენი დანახვისას დაცვის თანამშრომლები და ადგილობრივი ნაცაქტივი მინის მეორე მხრიდან წინ გვიდგებოდა. შეხვედრის ჩასაწერად რუსთაველის შენობაში მდებარე „ინტერნეტ კაფეში“ შევედით.



„ჯანდაცვის კუთხით ქვეყანაში ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება. შემუშავებულია ახალი ჯანდაცვის პროგრამები, გექნებათ სოციალური დაცვის ბევრად უკეთესი პაკეტი“, — უხსნიდა ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი რუსთაველებს. ამ საუბარს ინტერნეტ კაფისა და „კინო რუსთაველის“ გამყოფი ხის კარიდან ვიწერდით. რამდენიმე წუთში ჩვენ გვერდით, რუსთავის თვითმმართველობის პრესსამსახურის თანამშრომელი ნონე ჯიჩოშვილი გამოჩნდა.

„ხომ გითხრეს, რომ ეს დახურული შეხვედრაა, რას აკეთებ?!“ — ნაციონალურ აღშფოთებას ვერ მალავდა ჯიჩოშვილი. „ინტერნეტ კაფის“ დატოვების შემდეგ კირკიტაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ჟურნალისტებისთვის შეხვედრაზე დასწრება აკრძალული არ არის.

„ანგარიში ჩავაბარეთ ხალხს. ეს მთავრობისთვის პრიორიტეტია. ასეთ შეხვედრებს კვლავ გავმართავთ. ჩვენთან ერთად ივლიან სხვა სამინისტროს წარმომადგენლებიც. რაც შეეხება თქვენს კითხვას წინასაარჩევნო ელფერთან დაკავშირებით, თქვენ სრული უფლება გაქვთ, როგორი კონტექსტიდანაც გნებავთ, ისე შეხედოთ ამ საკითხს. ჟურნალისტებისთვის დასწრება არ არის აკრძალული. დამირეკეთ მე, ან პრესსამსახურს და შეგიშვებთ. ახლა შეხვედრა თითქმის დასრულდა და შესვლას აზრი არ აქვს“.

მოგახსენებათ, რომ ჩვენი დამსწრენი იყვნენ პედაგოგები, სკოლის დირექტორები და, ასევე, სხვათა შორის — სასაფლაოს დირექტორიც“, — გვიხსნიდა კირკიტაძე. „რა სასაფლაოს დირექტორი, რეებს იტყუები შენ?“ — საუბარში შორიდან გვერთვებოდა კარგ გუნებაზე მყოფი მერაბიშვილი.

Presage.tv-ის ინფორმაციით, მსგავსი წინასაარჩევნო შეხვედრა ნაციონალური მოძრაობის სახეებს რუსთავის საწარმოებშიც აქვთ დანიშნული. შეხვედრისთვის სამზადისი უკვე დაიწყო. უკვე შედგენილია კონკრეტულ მოქალაქეთა სიები, რომლებიც ამ შეხვედრაზე სასურველი სტუმრები იქნებიან.

**მანონ ბოკუჩავა,**
**ქვემო ქართლი.**

◉ სირცხვილი!

# მინისტრის ფარსი – „პირველკლასელთა შაშკინიადა“

**დიმიტრი შაშკინის მინისტრობამდე მიმავალი გზის ბუნდოვანების შემდეგ, სამინისტროში მისი მოღვაწეობის ბნელით მოცვა, გასაკვირი სულაც არაა. მისდამი მოსწავლეების დამოკიდებულება კი გლდანში მისულ ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეების დახვედრითაც აიხსნება. დღეს კი მათ რიგს ის პირველკლასელები და მათი ახლობლები შეემატნენ, რომლებიც შაშკინის მიერ დაწესებული პირველკლასელთა ონლაინრეგისტრაციის, ანუ შაშკინის ფარსის მსხვერპლნი გახდნენ.**

როგორც ცნობილი იყო, 17 აპრილიდან, განათლების სამინისტრომ იმ პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო, რომელთა მშობლები არ მუშაობენ ან დედმამიშვილები არ სწავლობენ ცალკეულ სკოლებში.

დილიდან რეგისტრაციის სერვისი http://registration.emis.ge/ ხელმიუწვდომელი იყო. არ მუშაობდა მითითებული ნომერიც — 2318940.

რეგისტრაციის დაწყების დროდ 10 საათი დაასახელეს. ამ დროს რეგისტრაციის საიტი არ ჩაირთო. სამინისტროს ონლაინდახმარების ოპერატორმა კი ასეთი შეტყობინება მოგვწერა: „10:30 საათზე ჩაირთვება registration.emis.ge ან შეგიძლიათ შეხვიდეთ emis.ge შემდეგ შეხვალთ ecatalog-ზე და შეხვალთ რეგისტრაციაზე“.



ეს ინფორმაცია სარწმუნოდ არ მივიჩნიეთ და მართლაც, საიტი 10:12 საათზე ჩაირთო. რეგისტრაციის მესამე საფეხურზე, როდესაც არჩეულ იქნა სკოლა, სადაც თავისუფალი ადგილების რაოდენობა 46-ს შეადგენდა და პროგრამამ შეგვატყობინა, რომ მიმდინარეობდა მონაცემების დამუშავება, ნაქებმა სარეგისტრაციო სისტემამ საიტიდან „გამოგვაგდო“.

10:23 საათზე ვწერ ონლაინ ოპერატორს, რომ პროგრამამ სისტემიიდან გამომაგდო. ონლაინ ოპერატორისგან სრული სიყრუეა. საიტი დიდსულოვნად „გვეუბნება“, რომ სერვერს აქვს პრობლემა. ამის შემდეგ საიტი ირთვება, მაგრამ ჩამონათვალში ჩვენს მიერ არჩეული სკოლა საერთოდ არ ჩანს —10:39 საათია.

10:41 საათზე ჩემთვის სასურველი სკოლა სისტემაში მითითებულია, რომ დარჩენილი ადგილების რაოდენობა ოცდასამია!

საიტი კვლავ გვაგდებს სისტემიდან, როგორც კი რეგისტრაცია უნდა დავასრულოთ. გვერდის განახლება და ადგილების რაოდენობა ნულია!

11:00-ზე, როდესაც ამ დიდი „შეჯიბრის“ შემდეგ ვუკავშირდებით განათლების სამინისტროს საზოგადოების სამსახურის უფროსს ნინო პოტრჟებსკაიას, ის გვპასუხობს, რომ სერვერს ჰქონდა პრობლემა და გასწორდა, მერე კი ტრადიციული ზრდილობით „არ მცალია, ღონისძიება მაქვს“ და ტელეფონი გათიშა.

სხვათა შორის, ეს ის პოტრჟებსკაიაა, რომელიც ჟურნალისტთა წრეებში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს და თუ მის სახელს ახსენებ, ყველას ერთი რამ ახსენდება და ცნობილ პაროდიას ცდილობს: „ცაში აპყრობილი ხელები და ტაში შეძახილით — კამერები აქეთ“!

საინტერესოა, ვისი შვილებისთვის „გაითიშა სერვერი“ 20 წუთი და გათიშულ სერვერზე, როგორ მოახერხეს რეგისტრაცია?!. ისიც საინტერესოა, რა კონტინგენტი მოხვდა იმ სკოლებში , სადაც რეგისტრაცია შეუძლებელი იყო?

ერთი სიტყვით, პოტრჟებსკაიას პასუხი არავის გაუკვირდება, მთავარი აქ ის ამაზრზენი საქციელია, როდესაც პირველკასელებშიც კი აგრესიას ბადებენ. მათ უკვე იციან, რომ მავანთა სურვილის გამო სასურველ სკოლაში ვერ მოხვდნენ. ასეთები კი ბევრია. საინტერესოა, რა ქნან იმ ბავშვებმა და მშობლებმა ვისაც ინტერნეტთან ხელი არ მიუწვდებათ? ალბათ, შაშკინი აქაც შესთავაზებს რამეს, თანაც ისეთსავე სამარცხვინოს, როგორადაც ონლაინრეგისტაცია ჩაატარა.

ბოლოს კი, ძალიან ბანალური გამოთქმა უნდა გამოვიყენო — **„ვის ხელშია ჩვენი შვილების ბედი, სირცხვილია“!**

ჯი-ეიჩ-ენი

**◉ პოზიცია**

***რატომ? იმიტომ რომ არ იმსახურებენ! აქ სამსჯელო არაფერია! რახან კალამს ხელი მოვკიდე, თავს ძალას დავატან და ობიექტურად გეტყვით ჩემს პოზიციას ამ აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებით.***

***ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას, როგორც წესი, ჭეშმარიტებად მხოლოდ საკუთარი აზრი ეჩვენება. ამიტომ იშვიათად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც მთელი სიგრძე-სიგანით აცნობიერებენ უკვდავ ფრთიან ფრაზას — „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ (სოკრატე). ასეთ გენიოსობას ბევრს ვერც მოვთხოვ, მაგრამ საზოგადოებამ ის მაინც უნდა შეძლოს, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს თეთრი და შავი, მაღალი და დაბალი, ჭკვიანი და უჭკუო, ერის შვილი და ძაღლის შვილი და ა.შ.***

# ნაციონალებს ხმას არ მივცემ!




ასეთ პირობებში სასაცილოდ მეჩვენება, როცა პროფესიადაკარგულ ადამიანთა უმრავლესობას, რადგან ისინი ნაციონალური პარტიის წევრები, ანუ ხელისუფლების ყურმოჭრილი მონები არიან, თავიანთი თავი პროფესიონალ პოლიტიკოსებად მიაჩნიათ. ამიტომ არის, რომ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე აზრის გამოთქმისას, უფრო სწორად, ხალხის დაბოლებისას, ერთი და იგივე ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსები და „ექსპერტები“ გვეჩხირებიან თვალსა და ყურში, ტელევიზორებსა და პრესაში. ნუთუ ამ ათიოდე კაცს მართლა სჯერა, რომ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილს თავისი მოსაზრება არა აქვთ ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამა თუ იმ პრობლემაზე? აქვთ, როგორ არა აქვთ, წიგნებსაც გამოსცემენ, სტატიებსაც აქვეყნებენ თავიანთ წრეებში ყოველგვარი ხმაურის გარეშე, კომპეტენტურ აზრსაც გამოთქვამენ და, სამწუხაროდ ყველაფერი ამით მთავრდება.

ხელისუფლება ამ პრობლემებზე მსჯელობისთვის დროს არ ხარჯავს, ხოლო საზოგადოების დიდ ნაწილს ის არ აინტერესებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათში ნაკლებადაა გამოყენებული მასის ყურადღების ადვილად მისაპყრობი უხამსი გამონათქვამები, დედ-მამის სულის ტრიალი თუ გინება, საზოგადოების შეურაცხმყოფელი ტერმინების ორომტრიალი და სხვ.

როგორც ერთ რიგით ეკონომისტს და პოლიტიკაში გარკვეულ პიროვნებას მიმაჩნია, რომ დღეს ქვეყანაში უპირველესი მნიშვნელობის მოვლენაა კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც, როგორც ვთქვი, ე.წ. ნაცებს მხარს არ დავუჭერ მრავალი ფაქტორის გამო, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია:

— ნაციონალური პარტიის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლო, უსინდისო დამოკიდებულება მათი ყოფილი მამა-მარჩენლის ზურაბ ჟვანიას აშკარა, მაგრამ ჯერჯერობით ბურუსით მოცული მკვლელობისადმი და მისი სახელისა და ავტორიტეტის საზოგადოებაში საბოლოოდ გასათახსირებლად ერთი ჭკვიანი აზერბაიჯანელი ბიჭის სიცოცხლის გაწირვა.

— მიშა მაგარიაო წამდაუწუმ რომ გაიძახიან დაქირავებული, მოსყიდული კლაკიორები, საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტზე იგი მართლაც მაგარი გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, სხვა არავინ მეგულება, ვინც მასავით დააჩმორებდა პარლამენტს, მთავრობას, ზოგიერთ ე.წ. ოპოზიციურ პარტიას, ტელევიზიებს და სხვა ნებისმიერ სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურას;

— პარლამენტმა, ანუ ნაციონალების მორჩილმა უმრავლესობამ, რამდენიმე კაცის ჭკუაზე ადვილად რომ „მართავს“ ქვეყანაში მიმდინარე ურთულეს ეკონომიკურ პროცესებს, ერთი კაცის ახირებით მიიღო ბევრი ჯერ არნახული და არგაგონილი გადაწყვეტილება. კერძოდ, მისი ძალისხმევით და მხარდაჭერით გაუქმდა ეკონომიკის სამინისტროს ისეთი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა მცირე ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი, ანტიმონოპოლიური სამსახური, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი, ფასების სახელმწიფო პოლიტიკის სამსახური, ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის მართვის სტრუქტურების საქმიანობა;

ამ სტრუქტურების მოშლის, ანუ ნაციონალისტთა მიერ მოგონილი ქვეყნის ეკონომიკის „მართვის“ „მეცნიერული მიდგომების“ შედეგებს ქვეყანა კიდევ დიდხანს მოიკმის. საქართველოს მძიმე ტვირთად დააწვება მოსახლეობისთვის სიმინდის ჰიბრიდული ჯიშების „შეტენვის“ ეპოპეა; თბილისის აეროპორტში გაყვანილი რკინიგზის „ჩქაროსნული“ მაგისტრალით, ყოველდღიურად „გადაყვანილი“ „ათასობით“ მგზავრი; ქალაქ ლაზიკას მშენებლობის იდეის უაზრობა და იქნებ გამიზნული ბოროტებაც კი; ტელეეკრანების მეშვეობით „დასაქმებული“ ასი ათასობით უმუშევარი და სხვ.

ამჯერად შეგნებულად ავუარე გვერდი (იგი ცალკე სპეციალური განსჯის საგანიაძ უკვე დაკარგულ ტერიტორიებსა და მომავალში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, მეზობელი ქვეყნების ვერაგული პოლიტიკის შედეგად, თავიანთი ავტონომიური წარმონაქმნების ჩამოყალიბების მოსალოდნელ შედეგებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა, ნაციონალების ფესვების ამოძირკვის პარალელურად მოგვარდება.

— ნაციონალებს თუ დასცალდათ, მალე 21 წლის გოგო-ბიჭები გვეყოლებიან პარლამენტში, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ ქვეყნის ბედ-იღბალი!!! ბოდიშს მოვიხდი ჩემი ქვეყნის ღირსეული მომავალი თაობის წინაშე, მაგრამ ქვეყნის პარლამენტის მიერ პრობლემისადმი ამგვარ დამოკიდებულებას, უპასუხისმგებლობის გარდა, სხვა სიტყვა ვერ გამოვუძებნე;

— არ მინდა ვინმემ ჩამითვალოს, რომ ნაცმოძრაობის ჯინი მჭირს, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებ: საქართველოს პარლამენტის წევრების უმრავლესობა, 4-5 ოპოზიციონერის გარდა არაფრის გამკეთებელი არ არის, უფრო მეტიც, მათ ბრალს ვდებ, ქართული საქმეების დაუძინებელ მტრობაში. უსაგნო ბრალდება რომ არ გამომივიდეს, ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ მათს დამოკიდებულებაზე ქართული ენის გადარჩენის პრობლემისადმი. ბოლო ორი წლის განმავლობაში პრესაში ორჯერ გამოვაქვეყნე ღია წერილები, რომელთა ადრესატი, ორივე შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იყო. მან ორივე წერილი, ყოველგვარი კონკრეტული დავალების გარეშე, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს გოკა გაბაშვილს გადაუმისამართა. ამ უკანასკნელმა, ასევე რაიმე დავალების გარეშე, ეს წერილები თავის მოადგილეს ხათუნა ოჩიაურს დააწერა და ამით თავიანთი მისია შესრულებულად ჩათვალეს.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ამ წერილებით რაღაც არარეალურ, შესასრულებლად რთულ პრობლემას ვუყენებდი საკანონმდებლო ხელისუფლებას. სრულიადაც არა, უბრალოდ, მხოლოდ და მხოლოდ, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის აღსრულებას ვითხოვდი;

— ძალიან მაინტერესებს, როგორ გაამართლებენ თავიანთ ქმედებას თუნდაც საკუთარი ოჯახის წევრების ან უახლოესი მეგობრების წინაშე ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი, რეგიონალური აქტივისტები, როცა ამა თუ იმ ქალაქში, რაიონში, სოფელში ჩასულ თავიანთ მამა-მარჩენალს სახელდახელო კონცერტებს, შოუებს უწყობენ და მოსახლეობას აბღავლებენ „შენ გენაცვალე“, „შენი ჭირიმე“ და ა.შ;

— ყბადაღებული ახალი საავადმყოფოების გახსნასა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე რომ გვაბოლებენ ნაციონალური პარტიის ლიდერები, მაინტერესებს, თუ იციან, რომ ადამიანის ორგანიზმიდან ფიზიოლოგიურად გამოყოფილი სითხის (კოლმეურნეობის თავმჯდომარის გვარისა არ იყოს, პირდაპირ არც ამ სითხის „სახელსა და გვარს“ დავასახელებძ ანალიზის ფასი ვაკის ერთ-ერთ ლაბორატორიაში 110 ლარი ღირს;

— აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს დაღუპული გმირების სახელების უკვდავყოფის მიზნით, გადავწყვიტე, გაზეთ „თანადგომის“ პერსონალური ნომერი მიმეძღვნა თითოეული მათგანისთვის. აღნიშნულის თაობაზე სათანადო პროექტი გასაცნობად გადავუგზავნე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს რუსუდან კერვალიშვილს და თავდაცვის მინისტრს ბაჩო ახალაიას. მრავალი მცდელობა მათ შორის მათი მისამართით პრესაში გამოქვეყნებული ღია წერილებიც ყოვლად უშედეგოდ დასრულდა და არა თუ წერილობითი, სიტყვიერი პასუხებიც ვერ მივიღე. არადა, რას ვთხოულობდი, არ იკითხავთ? მხოლოდ იმას, რომ დამხმარებოდნენ დაღუპულთა სიების დადგენაში და მათი ოჯახების მისამართების მოპოვებაში! იმისი შეფასება, თუ რა ჰქვია ნაციონალების ლიდერთა ასეთ ქცევას, მკითხველისათვის მიმინდვია;

პირადი ამბიციების ან შეხედულებების სხვებისთვის თავს მოხვევა არ მჩვევია, რასაც დაადასტურებს უამრავი ჩემი სტუდენტი, თანამშრომელი, ახლობელი, ალბათ, ერთდროულად, ის 60 ათასი კაციც, რომლებიც წლების განმავლობაში ჩემი უშუალო დაქვემდებარების სამსახურებში საქმიანობდნენ. აქედან გამომდინარე, უფლებას ვიტოვებ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის არც არავის ვურჩიო და არც არავის ვთხოვო (მ.შ. საკუთარი ოჯახის წევრებსაც კიძ ვინმესთვის თავისი ხმის მიცემა.

პირადად მე კი, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ნაციონალებს საპარლამენტო არჩევნებში ხმას არ მივცემ!

**ანზორ ბაბუხადია**

**რედაქციისგან:** რიგითი ეკონომისტი ვარო, უპრეტენზიოდ კი ამბობს ბატონი ანზორ ბაბუხადია, მაგრამ უწინარესად, სწორედ ამის გათვალისწინებით, გვინდა მკითხველს შევახსენოთ, რომ მან განვლო გზა რიგითი ეკონომისტიდან, საქართველოს მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩევლამდე. არის საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი. ავტორია ისეთი გახმაურებული სტატიებისა, როგორებიცაა: „სამჯერ წავიტეხეთ ფეხი, სამჯერ ვერ ავირჩიეთ რიგიანი პარლამენტი“; „შეცდომები, რამაც ქვეყნის ეკონომიკა დაანგრია და დღესაც ანგრევს“; „ცრუ ხელისუფალთა ცრუ საქმეები“; „ვიაზროვნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელისუფლებას არ მოსწონს“. „ქართველი ძლიერია უფრსკულის პირას მიყენებული“; „საზოგადოებრივი ტელევიზია საკუთარ საზოგადოებას დასცინის“; „პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები — პოლიტიკოსობას“; „რასაც ეს მთავრობა აკეთებს, ეს არის ქვეყნის და ხალხის ღალატი“. ავტორია ნაშრომთა 5-ნაწილიანი დამოუკიდებელი კრებულისა „შეცდომა თუ დანაშაული?!“ არის გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“, იაკობ გოგებაშვილის მედლით, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის დიპლომით.

**◉ ინფორმაცია**

## რატომ ჩაიშალა „მარშალისა“ და „ბოშის“ ფონდების ვიზიტი?

საქართველოსა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების ნინო კალანდაძის და კორნელია პიპერის გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოში „მარშალისა“ და „ბოშის“ ფონდების დელეგაციების ვიზიტის ჩაშლის საკითხი არ განხილულა. ამის შესახებ შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ნინო კალანდაძემ განუცხადა.

მისი თქმით, ამ საკითხს მხარეები არც კი შეხებიან. კალანდაძის განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია, თითქოს ფონდებმა ვიზიტის ჩაშლასთან დაკავშირებით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილით მიმართეს.

— ყოველგვარი სპეკულაცია იმის თაობაზე, რომ ფონდებმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი მისწერეს, სიმართლეს არ შეესაბამება. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ურთიერთობებში ვერ ჩაერევა და არც აქვთ ამის სურვილი, — განაცხადა კალანდაძემ.

რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის დიტერ ბოდენის განცხადება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უარი განაცხადა, მიეღო „მარშალისა“ და „ბოშის“ ფონდების დელეგაცია, თუ მის შემადგენლობაში ბოდენი იქნებოდა.

ეს ინფორმაცია თავის დროზე კატეგორიულად უარყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ. მისი თქმით, „მარშალის ფონდმა“ ქართულ მხარეს აცნობა, რომ მათ თავად მიიღეს ვიზიტის გაუქმების გადაწყვეტილება და მიზეზად დელეგაციაში დიტერ ბოდენის არსებობა დასახელდა. ამასთან, კალანდაძემ განაცხადა, რომ ქართული მხარე ოფიციალურ დონეზე ზღუდავს დიტერ ბოდენთან ურთიერთობას, რადგან ის აკრიტიკებს საქართველოს ინიციატივებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში.

**ინტერპრესი**

**ამ წერილის დაწერა 23 მარტის გადაცემამ გადამაწყვეტინა, როდესაც წამყვანები – შალვა რამიშვილი და დიანა ტრაპაიძე ორ ხმაში პირდაპირ დაესივენ ქ-ნ ნანა კაკაბაძეს – ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაზე რომ ლაპარაკობთ, კონკრეტული ფაქტები დაგვისახელეთ, ვინ ეწეოდა ამ პროპაგანდასო და, რაც მთავარია, არ აცლიდნენ მას საუბარს – არ აძლევდნენ აზრის დასრულების საშუალებას.**

ამის შემყურეს არ შეიძლებოდა წინა დღის გადაცემა არ დაგდგომოდა თვალწინ, რომელშიც სტუმარი ისევ კაკაბაძე იყო, ოღონდ, ამჯერად, ნინია – ჰომოსექსუალების უფლებების დამცველი. იგი ლანძღავდა და ბოდიშის მოხდას მოითხოვდა ნორმალური ადამიანების უფლებების დამცველი თანამოგვარისგან. რამიშვილს და ტრაპაიძეს, რომლებიც მონუსხულებივით შესჩერებოდნენ თვალებში ჰომოსექსუალების უფასო ადვოკატს (შესაძლოა, ფასიანსაც, ვერ გეტყვით) აზრად არ მოსვლიათ არც ქ-ნი ნანას დაცვა, არც კონტრარგუმენტების მოყვანა და არც – საუბარში ჩვეული ჩაჭრა, ორივეს ერთდროულად გაუჩნდა მოსაუბრის მოსმენის კულტურა. ცხადია, მათი დუმილი სტუმრის პოზიციასთან სრულ დათანხმებას ნიშნავდა, მაგრამ როცა ადამიანს, თანაც ისეთ ადამიანს, როგორიც ნანა კაკაბაძეა ფაშისტობას აბრალებენ, ობიექტურმა წამყვანმა, არ შეიძლება ეს ისე გაატაროს ყურებში, თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყოს.

საწყენია, როცა ამ არცთუ უნიჭო ჟურნალისტებს საკმაოდ საინტერესო გადაცემების გაძღოლისას ზომიერების გრძნობა ღალატობთ და სტუმრის სუბიექტური აზრის მოსმენისას ცოტა უტაქტოდ იქცევიან – წამდაუწუმ აწყვეტინებენ მას დაწყებულ საუბარს, ხშირად სადავეებსაც იღებენ ხელში (ზოგჯერ ბოდიშის მოხდით, ზოგჯერაც – უბოდიშოდ) და თავად აგრძელებენ წამოწყებულ თემაზე საუბარს, ანდა, სულაც ახალზე გადადიან. „მათქმევინეთ“, „დამამთავრებინეთ“, „ნუ შემაწყვეტინებთ“ და მსგავსი თხოვნები გვესმის თითქმის ყველა მოწვეული სტუმრისგან (მაგ.: ნონა გაფრინდაშვილი, არნო ხიდირბეგიშვილი, ნანა კაკაბაძე). შეიძლება ითქვას, იგივე მდგომარეობაში არიან 5-5 დღით მოწვეული თანაწამყვანებიც (მაგ., ლანა ღოღობერიძე პირველივე დღეს, 2 აპრილს). ჟურნალისტების ამგვარი სტილი განსაკუთრებით თვალში საცემია, როცა ვინმე რაიმე დადებითის თქმას დააპირებს რუსეთზე, ან უარყოფითისას – ამერიკაზე (სხვათა შორის, ანალოგიურად იქცევა აქუბარდიაც „კავკასიაზე“), ახლა უკვე – ჰომოსექსუალიზმზე.

ოდნავ მეტი თავშეკავება, ოდნავ ნაკლები მცდელობა საკუთარი ინფორმირებულობის (თუ ცოდნის) გამომჟღავნებისა და სამ ხმაში (სტუმართან ერთად) საუბრის არიდება, მხოლოდ წაადგება გადაცემას და მას კიდევ უფრო მიმზიდველს, უფრო სერიოზულს გახდის. მსგავსი შენიშვნები, ეჭვი არ მეპარება, რამიშვილს (მეტად) და ტრაპაიძეს არაერთი ექნებათ მიღებული, ამიტომ ვთვლი, რომ საკმარისია რაც ვთქვი და ახლა მინდა გადავიდე მთავარზე, კაკაბაძეების დაპირისპირების თემაზე – ჰომოსექსუალიზმზე.

ნანა კაკაბაძეს არ დაუსახელებია და ვერც დაასახელებდა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის კონკრეტულ ფაქტებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ტიპის არც ერთ გადაცემას წინ არასოდეს არ უძღვის სიტყვები: „დილა (საღამო) მშვიდობისა პატივცემულო ტელემაყურებლებო, ვიწყებთ ჩვენს მორიგ პროპაგანდისტულ გადაცემას თემაზე: გეები და მათი დადებითი როლი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში“; ასევე, ვერც პრესაში წაიკითხავთ ვერასოდეს ასეთ რამეს: „ვაგრძელებთ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური სიცოცხლის გასახანგრძლივებელ ინტერვიუებს“, თუმცა დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, თუ რა მიზნით ქვეყნდება „ასავალ-დასავალის“ ყოველ ნომერში (ნომრის ჩაუგდებლად წლების განმავლობაში!) ინტერვიუები შევარდნაძესთან.

თუ როგორ ხდება ე.წ. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება არნახულად დახვეწილი პიარტექნოლოგიების მეშვეობით ეს ყველას კარგად მოეხსენება და, პირველ რიგში, თავად შალვა რამიშვილს ქ-ნ დიანასთან ერთად. მათ მშვენივრად უწყიან, რომ ჰომოსექსუალებზე დადებით კონტექსტში საუბრები – მათი წარმოჩენა ზრდილ, განათლებულ, წარმატებულ და, აქედან გამომდინარე, მისაბაძ(!) ადამიანებად, სწორედაც პროპაგანდაა, გათვლილი უპირატესად, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკის ახალგაზრდებზე. პარალელურად ამისა, საზოგადოების გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ ჰომოსექსუალიზმის დაგმობა ჰომოსექსუალების უფლებების შელახვაა, ლამის – ფაშისტობა და, ამიტომაც, – კანონით დასჯადი, უკვე საზოგადოების დაშინებასთან ერთად მაჩვენებელია აბსოლუტურად დიდი უმრავლესობის აზრის ძალადობრივი უგულებელყოფის და ამ უმრავლესობის(!) უფლებების შეზღუდვის. **ადამიანთა მოდგმისთვის ზიანის მომტანი ნებისმიერი მოვლენა, რომ არ უნდა წახალისდეს, რომ საზოგადოება ვალდებულია(!) წინ აღუდგეს მას, და რომ სახელმწიფომ, საზოგადოების ჯანსაღი უმრავლესობა უნდა დაიცვას გადაგვარება-გადაშენებისგან პირველ რიგში, და არა - ამ გადაშენების მიზეზი უმცირესობა, ესეც ორჯერ ორივითაა.**

თუ ვინმე დაასახელებს მხოლოდ ერთ, ერთადერთ(!) დადებით მხარეს ამ მოძალებულ-დაძალებული(!) ჭირისას, იურიდიული კანონაკრძალვებით რომ უნდათ შეგვაყვარონ, ხელებს ავწევ – საჯაროდ ბოდიშს მოვიხდი. რაც შეეხება უარყოფითს, ჰომოსექსუალიზმს ორი უარყოფითი მხარე აქვს და ორივე ძალიან მნიშვნელოვანი. პირველი, ესთეტიური – ჩვეულებრივი სექსუალური ხვევნა-კოცნის მხოლოდ ხილვაც კი ნორმალურ ადამიანებში ან შესაბამის აგზნებას იწვევს, ანდა – თითქმის არავითარ რეაქციას (ასაკს გააჩნია) და არასოდეს – უარყოფითს; ჰომოსექსუალების, განსაკუთრებით „მამაკაცების“ ხვევნა-კოცნა კი, უმეტესობაში – მხოლოდ ზიზღს, ამათგან კი – პასიური პედერასტების მიხვრა-მოხვრა, ჩაცმულობა, მაკიაჟი და მეტყველების მანერა ხომ გულშემოსაყრელია („გეებს“, „ჰომოსექსუალებს“ და „მამათმავლებსაც“, ამ შემთხვევაში, შედარებით ძველ და ჩვენთან გავრცელებულ ტერმინს „პედერასტებს“ ვამჯობინებ)! შედარებით ნაკლებად გამღიზიანებელია, მაგრამ გულზე, არც „მამაკაცის“ – აქტიური როლის შემსრულებელი ლესბოსელების მიხვრა-მოხვრა, სიარული, თმის ვარცხნილობა და მამაკაცურ სტილში ჩაცმულობა გეხატება კაცს. ის, რაც აბსოლუტურ უმრავლესობაში ზიზღს იწვევს, არ შეიძ[redacted]

„სვეტში“ გარევასძ, თორემ მისაბაძი და გადმოსაღები წეს-კანონების მეტი რა არის დასავლეთში.

**ვინც თავისი „ორიენტაციით“ ადამის მოდგმის გადაშენებას უწყობს ხელს, ისინი თუ არ დაისჯებიან, მინიმუმ უნდა შეზღუდონ თავიანთ ქმედებებში, შეზღუდულნი და არა – წახალისებულნი!** ის ხელისუფლება, რომელიც ამ საშიშროებას ვერ ხედავს ან შეგნებულად თვალს ხუჭავს და ევროპული „სექსუალური“ კანონების დამკვიდრებას ცდილობს ქართულ მიწაზე საკუთარი სპონსორების საამებლად, ვერაფრით ვერ იქნება ეროვნული და იგი საკუთარი ერის მესაფლავედ ჩაითვლება. თუ არ გვინდა გადაგვარება-გადაჯიშება და, რაც მთავარია, თუ არ გვსურს გადაშენება(!), უნდა მოვიქცეთ ზუსტად ისე, როგორც ეს ჩვენმა სალანძღავმა რუსეთმა გააკეთა – სულ ახლახანს, მარტის ბოლოს რუსეთის დუმაში შევიდა კანონპროექტი არასრულწლოვანთა შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის თაობაზე (ამ დროულ, თუ დაგვიანებულ არა, კანონპროექტს ნინია კაკაბაძესავით „მოაზროვნე“ ადამიანებმა რუსეთში, სკანდალურიც კი უწოდეს).

# „მაესტროს“ „სუბიექტური აზრის“ ერთი გადაცემის ირგვლივ



**უნდა ვიბრძოლოთ ისეთი კანონისთვის, რომელიც შეაჩერებს ერის გაპედერასტების დაუჯერებლად მზარდ ტენდენციას და კაცობრიობას იხსნის მე-20 საუკუნის ამ ჭირისგან**

ნინიას მსგავსი დამცველები, ასე თავგამოდებით რომ იცავენ ჰომოსექსუალების „ორიენტაციის“ უფლებას, არ დავობენ იმაზე, რომ ეს მოვლენა – ჰომოსექსუალიზმი გადახრაა ბუნების კანონებიდან, მაგრამ არ იციან (ან არ უნდათ აღიარონ), რომ ყველაფერი, რაც არ ჯდება ბუნების კანონში – ბუნების შეცდომა, ამ კანონებიდან გადახრა არის არა ნორმა, არამედ – პათოლოგია, სიმახინჯე, რასაც უნდა ვუმკურნალოთ, და თუ ამას ვერ ვახერხებთ არასაკმარისი ცოდნის გამო, მაშინ უნდა ვეცადოთ, არ მივცეთ მას გამრავლება-გავრცელების საშუალება – არ შევუქმნათ ხელსაყრელი პირობები, რათა დავიცვათ, გადავა[redacted]

სიამოვნო“ ტერმინები („ჰომოსექსუალი“, „სექსუალური ორიენტაცია“, „არატრადიციული სექსი“) და რატომ გახდა სავალდებულო ბოლო პერიოდში ყველა სახელმწიფოსთვის ჰომოსექსუალებისთვის ფართო უფლებების მინიჭება, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს – ძალიან გავცდებით წამოჭრილ თემას; მიზეზობრივ არსს კი ადვილად ჩაწვდებიან ისინი, ვინც ე.წ. მსოფლიო წესრიგის, გლობალიზაციის პრობლემებშია ჩახედული.

მინდა შევეხო ტერმინებსაც. ყურისთვის მისაღებმა და, ფაქტობრივად, არაფრისმთქმელმა ტერმინებმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, ფორმამ შინაარსი არ უნდა დაგვავიწყოს. ეს ტერმინები რიგითი, ნორმალური ადამიანის მხრიდან უარყოფითი რეაქციის თავიდან ასაცილებლადაა მოფიქრებული. აბა, დავფიქრდეთ, „არატრადიციული სექსის“ ნაცვლად არსის გამომხატველი ტერმინი – „გაუკულმართებული სექსი“ რომ შემოეღოთ, ანდა „სექსუალური ორიენტაციის“ ნაცვლად - „სექსუალური გადახრები“, რამდენად გაუჭირდებოდათ ამგვარი სექსის მიმდევრებს ფეხის მოკიდება! „როსტოს“ მიერ გათამაშებულ ვირთან ჩახუტების სცენას (გადაცემა „ცეკვავენ ვარსკვლავები“) უფრო შეიძლება ეწოდოს ორიენტაცია, ვიდრე გეი-ლესბოსელების პათოლოგიურ სექსუალურ სწრაფვას თანამოსახელე სქესისადმი. **არათუ ცოცხალ, არაცოცხალ(!) ბუნებაშიც კი ერთპოლუსიანი სხეულები (დიდიც და პატარა ნაწილაკებიც) ერთმანეთისგან განიზიდებიან, მხოლოდ საპირისპიროდ დამუხტულები იზიდავენ ერთმანეთს!** „ჰომოსექსუალიც“ ყურისთვის მისაღები „მეცნიერული“ ტერმინია მხოლოდ (ისევე, როგორც „ჰომოფობია“!), ხელოვნურად შეკოწიწებული, რადგანაც მისი შემადგენელი ორი სიტყვა – „ჰომო“ და „სექსუალი“ სრულებით არ გადმოსცემს ტერმინის ჭეშმარიტ შინაარსს.

იმის ადვილად გასაგებად, თუ რატომ ხდება ლამაზ-ლამაზი ტერმინების შერჩევა შინაარსის შესანიღბავად, პოლიტიკა უნდა მოვიშველიოთ, რადგანაც ყველაზე კარგად ეს პოლიტიკაში ვლინდება – პარტიების და სხვადასხვა ორგანიზაცია-ინსტიტუტების სახელებში. ყველაფერს თავისი სახელი თუ დაერქვა, მაშინ ხომ მოგჭამა ჭირი ამომრჩევლის მხარდაჭერამ – „ნაციონალურ მოძრაობას“ „არანაციონალური“ რომ ერქვას, რამიშვილის (ლევან) „თავისუფლების ინსტიტუტს“ – „მანქურთების ინსტიტუტი“, ლომაია-დარჩიაშვილის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ – „დახურული საზოგადოება“, თორთლაძის „პატრიოტულ აქტს“ – „ჩაშვება-თვალთვალის აქტი“, იაკობაშვილ-რონდელის, კირკიტაძე-იონათამიშვილის, შაშკინის, ბარნოვის, ჭყოიძის, ნოდიას და ა.შ. ფონდ-ცენტრ-ინსტიტუტებს – თავ-თავიანთი შინაარსის შესატყვისი სახელები, მაშინ რა გვიჭირდა, ასე ადვილად არ მოტყუვდებოდა ხალხი არჩევანში! რაც რუსეთმა ვერ გვიყო უხეში ძალით 200 წლის განმავლობაში, ამერიკამ გვიყო ის ტექნიკური(!) ძალით სულ რაღაც 7-8 წელიწადში – სწორედ ჩამოთვლილი და სხვა მსგავსი, უხვად დაფინანსებული უამრავი ორგანიზაციის მეშვეობით – მათში შეყუჟული არაქართული საქმეების მკეთებელი ჩვენი თანამემამულეების ხელით.

პრევენციული ზომების მიღების ნაცვლად წაყრუების, ჰომოსექსუალების რეკლამირების პოლიტიკამ და მათთვის გაუგონარი (ახლო წარსულში) უფლებების მინიჭებამ, მათ გამრავლებასთან ერთად მოიტანა ისიც, რომ თუ ადრე ამ ხალხს თავიანთი გაუკუღმართებული მიდრეკილების ესირცხვილებოდა და მალავდა მას, ახლა უკვე სხვისი გაჩენილი ბავშვების შვილად აყვანის და საკუთარ ჭკუაზე აღზრდის უფლების დაკანონებასაც ითხოვს (სეროჟას „კიდე მაიტას“ პრინციპით), და აღწევს კიდეც მთელ რიგ ქვეყნებში ერთსქესიანთა ქორწინების უფლებასთან ერთად. ნინია კაკაბაძის სუბიექტური აზრი მაფიქრებინებს, რომ მალე, ალბათ, ის და მისი თანამოაზრენი იგივეს მოითხოვენ ჩვენთანაც.

ჩვენ -ჰეტეროსექსუალებმა, უპირველესად, **უნდა ვიბრძოლოთ არა ჰომოსექსუალების წინააღმდეგ, არამედ უნდა ვიბრძოლოთ ისეთი კანონისთვის, რომელიც შეაჩერებს ერის, ყველა ერის(!) გაპედერასტების დაუჯერებლად მზარდ ტენდენციას და კაცობრიობას იხსნის მე-20 საუკუნის ამ ჭირისგან.** სამწუხაროდ, ხელისუფლება პირიქით იქცევა თითქმის ყველა სახელმწიფოში – თა[redacted]

# ეკონომიკური სანქციები და ჩრდილოეთ კორეა

ბირთვული ნივთიერებების გაუვრცობლობის სამიტზე, რომელიც სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში გაიმართა, ითქვა ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამაზეც, თუმცა, ამჯერად მკაცრი განცხადებიდან ყველამ თავი შეიკავა. ფხენიანის მისამართით ნათქვამი სიტყვები გაცილებით რბილად ჟღერდა, ვიდრე წინა წლებში, რაც დაკავშირებულია მოლოდინთან, ჩრდილოეთის ახალი ლიდერის კიმ ჩენ ინის გამოჩენით რომ არის განპირობებული. მკაცრი რიტორიკა არ მოჰყოლია სულ ახლახან გაშვებულ დედამიწის თანამგზავრსაც. იყო გამაფრთხილებელი განცხადებები იაპონიისა და სხვათა მხრიდან, რომ რაკეტის კურსის დაშორების შემთხვევაში თანამგზავრს ჩამოაგდებდნენ. ჩამოგდებამდე საქმე არ მივიდა, რამეთუ გაშვებიდან რამდენიმე წუთში რაკეტა აფეთქდა. წარუმატებლობა აღიარა ფხენიანმა და ისიც თქვა, რომ ასეთი, დიდ სახელმწიფოებს – აშშ-სა და რუსეთსაც ემართებათ.

რაკეტის წარუმატებლობას არ გაუფერმკრთალებია ჩრდ. კორეის დამაარსებლის კიმ ირ სენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. შედარებით მკაცრი იყო აშშ-ის განცხადება და დაპირება, რომ ის კორეის მოსარჯულებლად გაამკაცრებს ეკონომიკურ სანქციებს. გაეროს უშიშროების საბჭოს წევრმა ქვეყნებმაც გამოხატეს თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება რაკეტის გაშვებასთან დაკავშირებით, მაგრამ რუსეთ-ჩინეთის მკაცრი პოზიციებიდან გამომდინარე აღარ იმსჯელეს ჩრდილო კორეისათვის ახალი სანქციების შემოღების თაობაზე. ეს ორი ქვეყანა თვლის, რომ სანქციებით მიზანი ვერ მიიღწევა და უმჯობესია დიპლომატიური მოლაპარაკებებით საკითხის გადაჭრა.

**ეკონომიკურ-ფინანსურ სანქციებს აშშ და მისი მოკავშირე ქვეყნები წამდაუწუმ მიმართავენ მათთვის არასასურველი ქვეყნების წინააღმდეგ, თუმცა სანქციები ვერაფერს უშავებს ამ ქვეყნების ხელისუფლებას, ხალხს კი ერთობ მძიმე პირობეში აყენებს. აშშ-ის პოლიტიკით, სანქციებმა იმდენად უნდა გააუარესოს ხალხის მდგომარეობა, რომ მან ხელში აიღოს იარაღი და დაამხოს ხელისუფლება. ამ მარტივი გეგმით არა მარტო „ბოროტი“ ქვეყნები ზარალდება, არამედ „დემოკრატიული“ დასავლეთიც, რის შესახებაც გარკვევით თქვა სტამბოლის შეხვედრის მონაწილე ირანის მხარის მეთაურმა ჯალილიმ. მან განაცხადა, რომ ირანის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა გააუარესეს დასავლეთის ისედაც მძიმე ეკონომიკური ვითარება, ევროპისათვის დაიკარგა ირანის 70 მილიონი ბაზარი, ირანმა დასავლეთს შეუწყვიტა ენერგომატარებლების მიწოდება და სხვა. სტამბოლის შეხვედრა ექვსეულსა და ირანს შორის წელიწადნახევრის დაპირისპირების შემდეგ აღდგა. უშიშროების საბჭოს 5 მუდმივმა წევრმა და გერმანიამ, ირანთან ერთად, ევროკავშირის ეგიდით განიხილეს ირანის ბირთვული პროგრამის საკითხები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ირანს უფლება აქვს, აწარმოოს მშვიდობიანი ბირთვული კვლევები. კეთრინ ეშტონის – ევროკავშირის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელის განცხადებით, მოლაპარაკება იყო კონსტრუქციული და ნაყოფიერი. მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ რაუნდზე, რომელიც 23 მაისს ბაღდადში გაიმართება. ირანის დელეგაციის მეთაურმა ჯალილიმ განაცხადა, რომ კონსტრუქციული დიალოგისთვის საჭირო იქნება ირანის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების გაუქმება. გაიზიარებს აღნიშნულს აშშ? ძნელი გამოსაცნობია, ისე კი ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე მან უნდა გაიზიაროს ირანელთა წინადადება, მით უმეტეს, როდესაც თვით აშშ-ის ქვეყნის სპეცსამსახურების განცხადებით, რომელიც ეყრდნობა სადაზვერვო ინფორმაციას, ირანს ბირთვულ იარაღზე მუშაობა 2003 წელს შეუწყვეტია და მას შემდეგ ქვეყნის ხელმძღვანელობას არ გამოუცია ბრძანება სამუშაოთა აღდგენის თაობაზე. ინფორმაცია ახალია და აშკარა მანიშნებელი იმისა, რომ ომისკენ მიმართული ნაბიჯის გადადგმამდე ასჯერ უნდა გაიზომოს ვითარება. ერთი რამ წარმოვიდგინოთ – აშშ, რომ აჰყოლოდა ისრაელის დაჟინებულ მოთხოვნას, რა ვითარებაში აღმოჩნდებოდა მსოფლიო? ექვსეულისა და ირანის შეხვედრამ, რომელსაც ასე ელოდა ყველა, ომის საფრთხე გადასწია, როგორც ჩანს სანქციების საკითხიც მოგვარდება, ვინაიდან ირანი, თვით აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის განცხადებით, არ მუშაობს ატომურ ბომბზე.**

რამდენად ეფექტიანია სანქციები და რა შედეგს იძლევა, არცთუ ძნელი გამოსაცნობია, კუბის, ჩრდილოეთ კორეის, მიანმის, ბელორუსის, სხვა ქვეყნების მაგალითებიდან. ვაშინგტონის ნანატრი რევოლუციები არსად მომხდარა, პირიქით ხალხი დაირაზმა პრობლემების დასაძლევად და გაუძლო ეკონომიკურ შეტევას.

**„ბოროტი“ სახელმწიფოების არსებობა ან, უფრო სწორად, ამერიკელთა მიერ ზოგიერთი ქვეყნის ასეთად მონათვლა მისწრებაა აშშ-ის შორს მომავალი პოლიტიკისათვის. რომ არა ასეთი ქვეყნებიდან წარმოქმნილი „საფრთხე“, განალაგებდა აშშ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას? ცხადია, ვერა. დღეს, ჩრდილოეთ კორეისა და ირანის ევროპაზე თავდასხმის საფრთხეს იშველიებს აშშ, მაგრამ სინამდვილეში ის რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებს. მსოფლიოში ვერც ვერავინ დაიჯერებს, რომ უახლოეს წლებში ეს ორი ქვეყანა განადგურებით დაემუქრება ევროპას, მარტივი მიზეზის გამო – მათ არ გააჩნიათ ასეთი იარაღი.**



დასავლეთის პრესა სისტემატურად იხსენიებს ჩრდილო კორეას, როგორც საწამლავის კოქტეილს, რომელიც შეიცავს ავტოკრატიას, რეპრესიულ სისტემას, იზოლაციონიზმს, სიღატაკეს. დასავლეთის აზრით ეს ის ქვეყანაა, სადაც იოტისოდენა თავისუფლებაც წარმოუდგენელია. „ეს რეჟიმი სახიფათოა არა მარტო საკუთარი ხალხისთვის, არამედ მსოფლიოსათვის“ – წერს ამერიკული ჟურნალი „ტაიმი“ და მოჰყავს სამხრეთკორეელი მკვლევარის ჩონ სენ ჩანგის სიტყვები „ჩრდილოეთ კორეა სტალინისტური მონარქიაა სადაც სისხლი წყვეტს ვინ იქნება მომდევნო დიქტატორი“. მკვლევარი გულისხმობს ახალგაზრდა ლიდერს კიმ ჩენ ინს. ცხადია, ფაქტი სახეზეა და მას ვერსად გავექცევით – ძორფა, გამოუცდელმა 29 წლის ყმაწვილმა შეცვალა მამა – კიმ ჩენ ირი, **მაგრამ რა შუაშია სტალინი? მით უმეტეს, როდესაც საბჭოთა კავშირში სისხლისმიერი ცვლა არასდროს განხორციელებულა. არც სტალინის, არც ხრუშჩოვის ან ბრეჟნევის, ანდროპოვის და ჩერნენკოს შვილები არასდროს ყოფილან არც მაღალ პარტიულ თანამდებობებზე და არც სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში. სისხლით ნათესავების ერთად მუშაობა აკრძალული იყო. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიფურჩქნა ამგვარი რამ. მაგალითად აზერბაიჯანიც კმარა. კომუნისტური წესებისგან განთავისუფლებულმა ქვეყნებმა უმალ აიღეს მაგალითი დასავლური დემოკრატიისგან.მარტო მამა-შვილი ბუშები რად ღირს ან ჯონ და რობერტ კენედები, რომ არა ამერიკაში წესად ქცეული პოლიტიკური მკვლელობა, რობერტ კენედი უდავოდ გახდებოდა პრეზიდენტი. ასე რომ, სტალინის მაგალითის მოყვანა არც მკვლევარს და არც ჟურნალს არ შეეფერება. რაც შეეხება სტატიის მთავარ თემას – ჩრდილო კორეას – ის, ისე როგორც მრავალი ათეული წლის წინათ, კიმ ირ სენის მიერ შექმნის შემდეგ, შიშის ზარს სცემს არა მარტო სამხრეთელ სისხლსა და ხორცს, არამედ რეგიონის ქვეყნებს, ჩინეთის გამოკლებით, და თქვენ წარმოიდგინეთ აშშ-საც.** 30.000 ამერიკელი სამხედრო იცავს სამხრეთ კორეას ჩრდილოეთის 1,3-მილიონიანი არმიისგან. ორ ქვეყანას შორის 50 კილომეტრიან დემილიტარიზებულ ზონის გასწვრივ მსახურობენ ამერიკელი ჯარისკაცები. არავინ იცის, როდის და რა შემთხვევაში გაღიზიანდება ოფიციალური ფხენიანი და მის არსენალში მყოფ რაკეტებს დააყრის სამხრეთს ან რომელიმე მეზობელ ქვეყანას. ქვეყანაც ამას ჰქვია – 25-მილიონიანი ჩრდილოეთი კოშმარულ სიზმრებს იწვევს ამერიკელებში, მაგრამ შეუძლია თუ არა ოფიციალურ ვაშინგტონს ისეთი ღონისძიების გატარება, რომელიც მოათვინიერებს ჯიუტ ჩრდილოეთს? შეუძლია, მაგრამ ვაშინგტონის გეოპოლიტიკა, ჰეგემონიზმი სხვას მოითხოვს – საწინააღმდეგოს, მუდმივ დაძაბულობას და აქედან გამომდინარე მღვრიე წყალში თევზის ჭერას. ეს რომ არა, წარმატებით დასრულდებოდა 6-იანის მოლაპარაკება, რომელიც ეპიზოდურად იმართება.

ბირთვულ პროგრამაზე ხელის აღების სანაცვლოდ ფხენიანი ეკონომიკურ დახმარებას ითხოვს. ამერიკა ჰპირდება ასეთს, თუმცა ან ნაწილობრივ ასრულებს ან საერთოდ უგულებელყოფს ჩრდილოელთა თხოვნას. მიუხედავად სანქციებისა ჩრდილო კორეა ქმნის და ცდის საკუთარ ბირთვულ იარაღს და მისი მიზნამდე მიტანის საშუალებებს. მართალია ბოლო გასროლა, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრით, ჩაიფარცხა, მაგრამ ოფიციალური ფხენიანი სასოწარკვეთილებაში არ ვარდება. ამერიკული დაზვერვის მიხედვით ჩრდილოეთს უკვე აქვს 8-12 ბირთვული ბომბი, ანუ ეს ქვეყანა ბირთვული კლუბის არაოფიციალური წევრია. მას ბევრი პრობლემები აქვს – ეკონომიკურიდან დაწყებული შიმშილით, დიპლომატიური იზოლაციით და ეკონომიკური სანქციით დამთავრებული. არ შევცდები თუ ვიტყვი – რომ არა აშშ-ის ამბიციები, ვინ იცის რა სიკეთეს მიიღებდა მსოფლიო ნიჭიერი ჩრდილოელი კორეელებისაგან. აქ არაფერ შუაშია კომუნისტური სისტემა ან იდეოლოგია. თუნდაც ასეთთან, სრული შესაძლებელი იყო საერთო ენის გამოძებნა. ნაცვლად ამისა აშშ-მა ჩრდ. კორეის შიმშილით ამოწყვეტა გადაწყვიტა. მიუხედავად სანქციებისა და წარმოუდგენელი გაჭირვებისა ჩრდილოეთმა გაძლო. არადა ნაკლები პრესის შემთხვევაში – სამხედრო საქმისთვის გამოყოფილი თანხების ნაწილი სამოქალაქო საქმეს მოხმარდებოდა.

**შეჰყურებ კიმ ირ სენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამხედრო პარადს, დისციპლინირებულ, გამოწრთობილ, მწყობრ მარშს, სამხედრო ტექნიკას და ფიქრობ – ყოველივე, შიშის საფუძველზეა შექმნილი – დასავლეთის, უპირველესად აშშ-ის შიშზე, რომელიც კორეის ომის შემდეგ სისტემატურად ცდილობდა და ცდილობს ჩრდილოეთით ჩაყლაპვას. ჩრდილოეთმა მაგრად შემოიჭირა ქამრები და ისეთი ქვეყანა და ჯარი შექმნა, რომ იქით აშინებს ამერიკას. გუშინდელი შეშინებული, დღეს შემშინებელია, თანაც ისეთი სერიოზული, რომ ღამეებს ათენებინებს არა მარტო მეზობლებს, არამედ აშშ-საც. თანამგზავრის გაშვების ღამეს ყველა ისინი შეშინებული ადევნებდნენ თვალს ამ პროცესს.**

საზეიმო დღესასწაულის დროს ასეულ-ათასობით კორეელს სიტყვით მიმართა ახალმა ლიდერმა კიმ ჩენ ინმა. მისი გამოსვლა პირველი იყო მას შემდეგ, რაც მან მამა – კიმ ჩენ ირი შეცვალა გასული წლის დეკემბერში. მამა 1994 წლიდან გასული წლის დეკემბრამდე მართავდა კორეას. ის 52 წლისა აღზევდა, გაცილებით სოლიდურ ასაკში, ვიდრე ახალი ბელადი. კიმ ჩენ ინის სიტყვაში ხაზგასმით აღინიშნა ბაბუისა და მამის კურსის გაგრძელების თაობაზე, რამდენად შეძლებს შვეიცარიაში განათლებამიღებული ინი, ამას მომავალი გვიჩვენებს. დასავლელებს დიდი იმედი აქვთ შვეიცარიული გავლენის, სადაც ინი გერმანულ და ინგლისურ ენებს ეუფლებოდა. მის შესახებ ცოტა რამ თუ არის ცნობილი, მათ შორის კალათბურთის თაყვანისცემა. ინი კარგად თამაშობს კალათბურთს და ამერიკული „ჩიკაგო ბულსის“ თაყვანისცემელია. ფხენიანში სწავლის დროს გუნდის კაპიტანიც იყო. კიმ ჩენ ინს ნორმალურ ყმაწვილად ახასიათებს ერთ დროს კიმ ჩენ ირის ოჯახის იაპონელი კულინარი. კიმ ჩენ ინის აღზევებაში მამას დიდი წვლილი აქვს შეტანილი. სამი ძმიდან ინის ამორჩევა სწორედ მისი დამსახურებაა. ამ პროცესში გარკვეული როლი ითამაშა ახალგაზრდა ინის დიდ ბაბუასთან გარეგნულმა მსგავსებამ, 29 წლის კიმ ჩენ ინის გამოუცდელობა შეივსება დეიდის ქმრის დახმარებით. ეს პიროვნება 2002 წლიდან აქტიურადაა ჩართული პოლიტიკაში. არაერთხელ ხელმძღვანელობდა ჩრდილო კორეის დელეგაციას ჩინეთსა და სამხრეთ კორეაში.

შვეიცარიაში ინკოგნიტოდ სწავლის დროს (მაშინ ინი პაკ უნის სახელს ატარებდა) მიღებული ცოდნა ახალ ცხოვრებაში ხელს შეუწყობს ინს, კორეის მშენებლობაში, რომლის დროსაც ქვეყნის წინაშე არსებული არაერთი პრობლემის გადაჭრა იქნება საჭირო, მათ შორის დასავლეთთან საერთო ენის გამონახვა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

ფულის შეწერის ნაციონალური წესები

# მორიგი „საჯარიმო დარტყმა“ მთავრობისგან

ხელისუფლებას იმდენად აფიქრებს ბიუჯეტის შევსების საკითხი, რომ აღარც არჩევნებს ერიდება და მოქალაქეებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხს მიადგა. საქმე ეხება ჯარიმების გაზრდა-გამკაცრებას, უფრო სწორად კი, გაორმაგებას. შესაბამისი ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის, რომლის ინიციირებაც პარლამენტში სამშაბათს განხორციელდა.

ძირითადი დარტყმა ავტომფლობელებზეა. მათთვის მოძრაობის წესების დარღვევა უკვე უზარმაზარ თანხებთან ასოცირდება. სიჩქარის ოდნავი გადამეტება ან უადგილო ადგილას მანქანის გაჩერება და მძღოლს სამნიშნა ციფრით გამოსახულ ქვითარს მიართმევენ. კანონპროექტის ავტორია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ინიციატორი კი — მთავრობა.

ერთი სიტყვით, თუ მძღოლი სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან მანევრირების წესებს დაარღვევს 50 ლარით დაჯარიმდება. აქამდე აღნიშნული ქმედებისთვის ჯარიმა საერთოდაც განსაზღვრული არ იყო.



ამავე კანონპროექტის მიხედვით, ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის ჯარიმა ორმაგდება და მიდგომა მკაცრდება. აქამდე, შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა მხოლოდ 50 ლარით ჯარიმდებოდა. კანონპროექტით კი, ჯარიმა 100 ლარამდე იზრდება.

დგინდება ახალი რეგულაცია ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე. კერძოდ, თუ პირი ღერძულა ხაზს წელიწადში მეორედ გადაკვეთს, მას მეორე შემთხვევაზე უკვე 200 ლარით დააჯარიმებენ. რატომ 200 ლარით? ამაზე კომენტარს არ აკეთებენ. ეს წმინდა წყლის კაზუსია, რადგან ერთი და იგივე დარღვევისათვის არ შეიძლება მიდგომა განსხვავებული იყოს.

ხელისუფლებამ ავტომფლობელები მიზანში მაშინ ამოიღო, როდესაც მათ ღვედების გაკეთება დაავალდებულა. შედეგად კი საჯარიმო სანქციები ავტომანქანის დგომა-გაჩერების წესების დარღვევისთვის გაამკაცრა. ახლა კი სხვა მეთოდებით დაიწყეს.

უკეთეს დღეში არც ფეხოსანი მოქალაქეები ჩაცვივდებიან. გარდა მძღოლებისა, უახლოეს მომავალში ახალი საჯარიმო სანქცია მატარებელში წესების დარღვევისთვისაც ამოქმედდება. ამ შემთხვევაში კანონპროექტის ავტორი შპს „საქართველოს რკინიგზაა“.

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის“ მოქმედი რედაქციით, სატვირთო მატარებლით თვითნებური მგზავრობა, მატარებელში სვლის დროს ჩახტომა და გადმოხტომა, ვაგონების საფეხურებსა და სახურავებზე დგომა, მატარებლის თვითნებური, საჭიროების გარეშე გაჩერება, შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე ჯარიმდება. კანონპროექტის მიხედვით კი, აღნიშნული ქმედებები 40 ლარით დაჯარიმდება.

გარდა ამისა, მოქმედი ნორმით, სამგზავრო ვაგონის შიდა მოწყობილობის, ლოკომოტივისა და ვაგონის მინის დაზიანება, ასევე შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე ჯარიმდება. კანონპროექტით კი, აღნიშნული ქმედებებიც და ბილეთის საფასურის გადახდის ავტომატური საშუალების თუ ვაგონის სხვა შიდა მოწყობილობის დაზიანება, ასევე 40 ლარით დაჯარიმდება.

რაც შეეხება მატარებლის ვაგონების ფანჯრებიდან და კარებიდან ნაგვისა და სხვა საგნების გადაყრა, ეს აქამდე გაფრთხილებას ან შრომის ანაზღაურების ნახევარი მინიმალურ ოდენობამდე დაჯარიმებას იწვევდა. კანონპროექტით კი, ეს ქმედება ასევე გაფრთხილებით ან 20 ლარით დაჯარიმდება.

20-ლარიანი ჯარიმა ან გაფრთხილება ელით ასევე იმ პირებს, ვინც ვაგონში ნებადაურთველ ადგილებში მოწევენ. აქამდე აკრძალულ ადგილებში მოწევა, გაფრთხილებით ან ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე ჯარიმით ისჯებოდა.

**გიორგი ბექაური**

ინფორმაცია

## ოსებმა რუსებს ფიცი დაუდეს

ცხინვალის რუსული სამხედრო ბაზის ოსური ბატალიონის სამხედროებმა ფიცი დადეს. ამის შესახებ სააგენტო „რესი“ იუწყება. ფიცის დადების ცერემონია გასულ კვირას გაიმართა. ცხინვალში მეოთხე რუსული ბაზის ჩამოყალიბებიდან ოსური ბატალიონი პირველად შეიქმნა. ბატალიონი ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებითაა დაკომპლექტებული.

— იმედი მაქვს, რომ ეს პირველი ასეული, ისევე როგორც მომდევნო ორი, საუკეთესო და მეოთხე ბაზის სხვა მოსამსახურეებისთვის სამაგალითო იქნება, — განაცხადა დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსმა ტამერლან ცარიტოვმა.

ფიცის დადების შემდეგ რუსეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჰიმნები შესრულდა. ცერემონია ბაზის პირადი შემადგენლობის მარშით დასრულდა. რუსული ბაზის ოსური ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებს მომზადების შემდეგ კონტრაქტს გაუფორმებენ და რუსული ბაზის შემადგენლობაში დარჩებიან.

**ინტერპრესი**

მოსაზრება



# გზა, რომელიც ტაძართან კი არა, კატასტროფამდე მიგვიყვანს

*უსისტემო, მეცნიერულად დაუსაბუთებელი, მცდარი და მავნე გზით ჩვენი სახელმწიფოს „შენება-განვითარება“ საბჭოთა მართვის სტილს წააგავს და ქვეყანა დეგრადირებისკენ მიჰყავს... მაგრამ, ნებისმიერი სიბრიყვე, მომხვეჭელური ინსტიქტები, მარცხი თუ შეცდომა გამოსწორებადია: მთავრობები მოდიან და მიდიან, ბრიყვი ან ხარბი სახელმწიფო მოხელეები ქვეყნის ისტორიიდან უკვალოდ ქრებიან, ხელისუფლების ვოლუნტარიზმი და გაუნათლებლობა (რაგინდ არ უნდა გვალიზიანებდეს იგი), წარმავალია... — თითქმის ყველაფერი გამოსწორებადია, რამდენიმე გამონაკლისის გარდა...*

**„თხუთმეტი ახალი ჰესი იმისთვის, რომ აღარასდროს დავბრუნდეთ წარსულში!“** — ისმის ტელეეკრანებიდან. ამ პროექტის მხოლოდ ჩანაფიქრმა უკვე დაგვაბრუნა წარსულში და არა მარტო დაგვაბრუნა — ეს კარზე მომდგარი ეროვნული ტრაგედიის ტოლფასი შემთხვევაა.

...ჩვენი დედამიწის ატმოსფერო სულ რაღაც 12 კილომეტრის სისქისაა. ეს სუსტი და თხელი გარსი დედამიწაზე სიცოცხლეს გვინარჩუნებს — კაცობრიობას კოსმოსის ვაკუუმისგან იცავს. ბავშვმაც კი იცის, რომ უატმოსფეროდ დედამიწაზე უბრალოდ სიცოცხლე შეწყდება.

ატმოსფეროზე უარყოფითად მოქმედებს ნახშირორჟანგი, მეთანი, რასაც ხელს უწყობენ თანამედროვე პროგრესის თანმხლები ელემენტები: ფრეონი, ბუნებრივი ენერგომშემცველების წვის შედეგად გამონაყოფი ნარჩენები. ყველაფერ ამას ერთვის გარდაუვალი ბუნებრივი კატაკლიზმები, მაგალითად ვულკანური ზემოქმედებები ატმოსფეროში გატყორცნილი მრავალი მილიონი ტონა მავნე ელემენტებით...

თუ ადრე ბუნებაში არსებობდა ერთგვარი ბალანსი, ცივილიზაციურმა პროგრესმა ეს წონასწორობა დაარღვია — ადამიანები მე-19 და მე-20 საუკუნეებში სულ მეტად და მეტად „უტევდნენ“ ატმოსფეროს. დღეს კაცობრიობის გამოფხიზლების ხანაში ვცხოვრობთ.

ჩვენი ატმოსფეროს დაზიანების და ამ ზიანის განეიტრალების რამდენიმე გზა არსებობს. ოცდამეერთე საუკუნე ცივილიზებული ქვეყნების ინოვაციური წინსვლით აღინიშნა. უწინარესად ეს ნანოტექნოლოგიების განვითარებით, ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძიებით და ეკოლოგიისადმი მანამდე არნახული სიფაქიზით ხასიათდება.

ორი საუკუნის შეცდომების გამოსწორება ნიშნავს: ნანოტექნოლოგიების ინტენსიურ განვითარებას და ეკონომიკის ყველა სფეროში მათ დანერგვას; ტყეების შენარჩუნებას, აღდგენა-განვითარებას; ადამიანის საცხოვრებელი არეალის გაჯანსაღებას; ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძიება-განვითარებას და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მათ გამოყენებას. ეს და სხვა მრავალი წამოწყება ცივილიზებული ქვეყნების შიდა პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებებად იქცა.

ვის უნდა მოეკითხოს, რომ ამ კუთხით ჩვენი სახელმწიფო ინტელექტუალურად ჩამორჩენილი, „ველური“, ქვეყნების რიგშია? უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურების აგება სწორედ ასეთი, „კარზე მომდგარი“, ტრაგიკულ-ფატალური უბედურებაა. ვისი ან რისი მიზეზით მივექანებით კატასტროფისკენ და რაში მდგომარეობს ტრაგიკული ფატალიზმი? განვიხილოთ ამის რამდენიმე მტკიცებულება:

**ეკონომიკა.** ძნელი წარმოსადგენია, რომ ხელისუფლებას არაფერი გაუგია გლობალურ დათბობაზე და სრულიად უეჭველ სამეცნიერო გათვლებზე. დღეს ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელმაც არ იცის, რომ 2030 წლისთვის მსოფლიო მტკნარი წყლის მწვავე დეფიციტს იგრძნობს. ფსიქიკურად ავადმყოფია ის, ვისაც ჰგონია, რომ ჩვენი რეგიონი, გლობალური „წყურვილის“ ფონზე, გამონაკლისი იქნება. შეცვლილი ეკოლოგიით და გამოუსადეგარი კაშხალებით შევეგებებით მეორე ათასწლეულის ოცდაათიან წლებს. სხვათა შორის, ოცდაათიან წლებამდე ამ დანაშაულებრივი წამოწყების შედეგად მნიშვნელოვან ფინანსურ მოგებასაც კი ვერ მივიღებთ: ინვესტორი ჯერ საკუთარ მოგებაზე და დახარჯული თანხების დაბრუნებაზე იზრუნებს. კაშხალებს კი სწორედ წყლის დეფიციტის დაწყებისთვის ჩაგვაბარებს — აჰა, ისარგებლეთო... ასეც რომ არ იყოს — საეჭვო ფინანსური მოგება სხვა მოსაზრებებს ვერ გადასწონის.

**სოფელი.** კაშხლების აგება სასარგებლო მიწების დაკარგვაა. ამას უეჭველად მოსახლეობის მიგრაციაც მოჰყვება, რაც სოციალურ პრობლემებს უფრო მეტად გაზრდის და გაამწვავებს. მიგრაციასთან ერთად დაიკარგება ზოგიერთი სოფლის მეურნეობის ტრადიციული სახეობაც.

**ეკოლოგია.** არავისთვის არ არის რთულად გასაგები, რომ გრანდიოზული კაშხლები რადიკალურად და შეუქცევადად ცვლიან კლიმატურ სურათს. ის ბუნება, რითაც საქართველო სულდგმულობს, სამუდამოდ დაგვეკარგება — სხვა ქვეყანაში აღმოვჩნდებით.

**მიწისძვრები.** ბოლო 15—20 წლის განმავლობაში რეგიონის მაგნიტუდების საშუალო მაჩვენებელმა აიწია, რაც ნებისმიერი ნაგებობის, უწინარესად სტრატეგიული დანიშნულების (კაშხალი კი სწორედ ასეთი სტრატეგიული ნაგებობაა), ბიძგებისადმი გამძლეობის მოთხოვნებს ამკაცრებს. საერთოდ, ჩვენს სეისმურად არასტაბილურ რეგიონში საღად მოაზროვნე ხელისუფლებამ დიდი კაშხლების აგებისგან თავი უნდა შეიკავოს. ქვეყნის წალეკვის ერთი შანსიც თუ არსებობს, ის გადასწონის ნებისმიერ საწინააღმდეგო მტკიცებულებას.

**რა გვაქვს, რა შეგვწევს და რა მომავალი გველის, თუ არაფერი ვილონეთ?** საქართველო მართლაც უნიკალური ქვეყანაა: მცირე ჰიდროელექტროსადგურებისთვის იდეალური პირობებია; ბევრი ცივილიზებული ქვეყნის შესაშურად, მზის და ქარის ენერგიის მოსაპოვებლად ყველა პირობაა და თანაც როგორი!

გრანდიოზული კაშხლები კი უკან, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გვაბრუნებენ და სრული დაღუპვით გვემუქრებიან. აი რის მიზეზით მივექანებით „უფსკრულისკენ“.

ამრიგად, ეკონომიკურად გაუმართლებელი, ეკოლოგიურად უსაზღვროდ მავნე, სოციალურად მავნებლური და გეოფიზიკურად აპოკალიფსური გეგმა არის დამღუპველი გზა ეროვნული კატასტროფისკენ, რომლის დაწყებისთანავე არავის აღარ აალელვებს: უსამართლო და თაღლითური სოციალური პოლიტიკა; პარლამენტში 21 წლის ღლაპი დეპუტატების პარპაში; ბუნების გადაგვარება; უპასუხო კითხვა: „ხელისუფლების რომელ შტოს მიეკუთვნება პროკურატურა?“; ახალგაზრდობის ინტელექტუალური და ზნეობრივი დეგრადირება; ეკონომიკაში ცინიკური მონოპოლიზმი; მეცნიერების შეუქცევადი დაკნინება...

მოკლედ, მოსახლეობისთვის ფიზიკური გადარჩენის ყოველდღიური ამოცანა მთავარ საზრუნავად იქცევა — ერი საკუთარ ქვეყანაში „ლტოლვილ ერად“ გარდაიქმნება, „შუასაუკუნოვან ეპოქაში“ დაბრუნდება ოღონდ უკვე საკუთარ იდენტურობას მოკლებული. ზოგიერთი გაბოროტებულ ადამიანი დამნაშავეებზე შურისძიებას მოინდომებს... ეს გაშმაგებული ერთეულები ალბათ იძიებენ კიდეც, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება: ოცდამეერთე საუკუნეს მაინც ვერ დავუბრუნდებით და თუ 40-50 წლის განმავლობაში შევძლებთ კიდეც, ის საქართველო უკვე აღარ იარსებებს.

**მალხაზ ჟვანია**

## ყველაფერი დღესავით ნათელია

***საალდგომოდ პრეზიდენტმა 200 პატიმარი შეიწყალა. როგორც ყოველთვის, ეს ფაქტი ნაციონალური მაუწყებლების ეთერით ფართოდ გაშუქდა. ახალი ამბავი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა გვამცნო და მოგვახარა, რომ შეწყალებული პატიმრები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს საკუთარ სახლებში შეხვდებოდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, შეწყალების კომისიამ 417 პატიმრის განაცხადი შეისწავლა, საიდანაც 203 დადებითი რეკომენდაცია მისცა. აღსანიშნავია, რომ შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომ კომისია მძიმე დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირებს (ნარკოტიკების გამსაღებლები, მკვლელობისა ან გაუპატიურებისთვის მსჯავრდებული პირები) რეკომენდაციას არ აძლევს.***



***პარლამენტის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე კი აცხადებს, რომ შეწყალებას ხელისუფლება თავისი მიზნებისთვის იყენებს, რაც ძირითადად არჩევნებს უკავშირდება. Presage.tv დიმიტრი ლორთქიფანიძეს ესაუბრა.***

# საალდგომო შეწყალება – დამატებითი ხმები ნაციონალებისთვის!

– „მართალია, მე არ ვარ შეწყალების კომისიის წევრი, მაგრამ შეწყალების პროცესის შესახებ ინფორმაცია გამაჩნია. შეწყალების კომისია აღჭურვილია პრეზიდენტისგან დელეგირებული უფლებით აწარმოოს მსჯავრდებულ პირთა შუამდგომლობების განხილვა. ამ კომისიის მუშაობა არის ძალიან არაეფექტური და მის მიმართ საზოგადოების ნდობა ორშაბათს იქნა წარმოდგენილი ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში ჩატარებულ ინტერაქტიულ გამოკითხვაში, როდესაც გამოკითხულთა 97%-მა უნდობლობა გამოუცხადა ამ კომისიის მუშაობას.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავად შეწყალების კომისია სამი კომპონენტისგან შედგება, ეს გახლავთ სამთავრობო, საპარლამენტო და საზოგადოებრივი. სწორედ ეს საზოგადოებრივი კომპონენტი იმსახურებს განსაკუთრებულ უნდობლობას, ვინაიდან საზოგადოების წარმომადგენლები იმიტომ არიან ამ კომისიაში, რომ საზოგადოებამ ამ კომისიის მუშაობის მანკიერი მხარეები იცოდეს. სამწუხაროდ, საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან, რომლებიც ამ კომისიის შემადგენლობაში შედიან, არანაირი განაცხადი არ კეთდება. რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს უნდობლობის ხარისხს.

მნიშვნელოვანი გარემოება, რომელზეც აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება, არის ის, რომ შეწყალების კომისიის თავმჯდომარისგან ძალიან ხშირად მოისმენთ, რომ კომისია იხილავს მხოლოდ მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების განაცხადებს, ხოლო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულ პირებს ისინი არ ეხებიან. სინამდვილეში შეწყალების კომისიის დებულებაში განსაზღვრულია ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირის შუამდგომლობის განხილვა, თუ მას მოხდილი აქვს სასჯელის ვადის ნახევარი. მიუხედავად ამისა, ასეთი პირების მიმართ შეწყალების კომისია განცხადებას არ აკეთებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კომისია გარეგნული ანტურაჟის სახეს ასრულებს და რეალურად, შეწყალების პროცესი მიმდინარეობს პროკურატურაში, სადაც საბოლოოდ დგება სიები, რომლებსაც პროკურატურა წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად.



ფორმალური ანტურაჟის დემოკრატიული სახის შესაქმნელად ხელისუფლება იყენებს შეწყალების კომისიას, რომელსაც პრეზიდენტი ძალიან ხშირად აწმენდს ხელს. ამის ნათელი დადასტურება გახლდათ იგივე გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირების ჯერ პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლებით, შემდეგ კი შეწყალების კომისიის გადაწყვეტილებით სასჯელისგან განთავისუფლება. ეს სწორედ ის შემთხვევაა, რაზეც მოგახსენებთ, ანუ რომ კომისიამ აიღოს თავის თავზე მორალური ტვირთი.

ბოლო შეწყალებაზე, რომელიც საალდგომოდ განხორციელდა, როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, შეწყალების კომისიის მიერ განხილული იქნა 417 საქმე, და აქედან თითქოს 170 დაკმაყოფილდა, ანუ 170 ადამიანს გაეწია რეკომენდაცია შეწყალებაზე. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არ არსებობს პერსონიფიცირებული სტატისტიკა, საბოლოოდ რამდენი ადამიანი განთავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან. ძალიან საინტერესო ფაქტია, რომ თუკი სისხლის სამართლის წარმოება სამსჯავრო გამოძიების კუთხით არის საჯარო და საზოგადოებისთვისთვის ცნობილია, მაშინ რატომ არ უნდა იყოს ცნობილი შეწყალებულ პირთა ვინაობა. როგორც წესი, შეწყალებულ პირთა სიას კომისია არ აქვეყნებს. არ აქვეყნებს არც პრეზიდენტის ადმინისტრაცია და იგი რჩება გასაიდუმლოებული.

მე შეგნებულად ჩავატარე პიროვნული სუბიექტური კვლევა. სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან მობილიზებული მყავდა ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებიც ცდილობდნენ დაედგინათ ამ შეწყალებაზე რამდენმა ადამიანმა დატოვა საპატიმროები. მინდა გითხრათ, რომ მათ მე ასეთი პატიმრების თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობა დამისახელეს. 170 ადამიანი განთავისუფლებული არ არის, მაგრამ ძალიანაც რომ გვინდოდეს, რომ ეს ინფორმაცია მტკიცებულებების დონეზე წარვუდგინოთ საზოგადოებას, ამას ვერ გავაკეთებთ, რადგან ასეთი სტატისტიკა ოფიციალურად არ ქვეყნდება. ასეთი მსჯავრდებულების პერსონიფიცირება არ ხდება, რაც, რა თქმა უნდა, არათუ ეჭვს იწვევს, არამედ შეგვიძლია დადასტურებულად მივიჩნიოთ, რომ ეს რიცხვი ერთგვარად გაზრდილი, გაბერილია და არ შეესაბამება სინამდვილეს.

ძალიან ხშირად, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ჩვენ გვესმის, რომ მიმდინარეობს ბინძური გარიგებები სხვადასხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებთან, რომლებსაც გარკვეული გარიგების საფუძველზე სთავაზობენ განთავისუფლებას. არაერთი ფაქტი გვაქვს იმისა, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები სასჯელის მოხდის პირველივე წელიწადს იყვნენ განთავისუფლებულები მაშინ, როდესაც 15-16, ან უფრო მეტი წელი ჰქონდათ მისჯილი.

**– შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომ შეწყალებულთაგან ნაწილმა დატოვა საპატიმროები, ხოლო დანარჩენს სასჯელი გაუნახევრდა და იქნებ სწორედ ამიტომ გაუწოდეს თქვენი ნდობით აღჭურვილმა პირებმა, რომ პატიმრების თითზე ჩამოსათვლელმა რაოდენობამ დატოვა ციხეები.**

– 170-დან თითზე ჩამოსათვლელი პატიმრები არ უნდა გამოსულიყვნენ, რადგან თუ განახევრებაზეა საუბარი, ნახევარზე ნაკლებს გაუნახევრდებოდა სასჯელი, დანარჩენებს უნდა დაეტოვებინათ საპატიმროები. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით სულ 13 მსჯავრდებული ქალბატონი და სულ რამდენიმე არასრულწლოვანია მოხვედრილი ამ სიაში. რაც შეეხება მთლიანად ამ 170 ადამიანს, საბოლოოდ რა შედეგით დასრულდა კომისიის მუშაობა და სად არის განთავისუფლებული ადამიანების რაოდენობა, ჩვენთვის ეს უცნობია.

**– ანუ თქვენ აცხადებთ, რომ ხელისუფლება შეწყალებებს საკუთარი მიზნებისთვის იყენებს?**

– ხელისუფლება შეწყალებებს ყოველთვის იყენებდა და დღესაც იყენებს თავისი მიზნებისთვის, რომლებსაც წინასაარჩევნო დატვირთვა და ხასიათი გააჩნია. სწორედ კონკრეტულ არჩევნებში გამარჯვებისა და წარმატების ერთ-ერთ წარმატებულ მეთოდად განიხილება მსჯავრდებული პირის ახლობლებთან მოლაპარაკებების წარმოება კონკრეტული დავალებების შესრულების სანაცვლოდ და ძალიან ხშირია, რომ არჩევნების შემდეგ ეს ადამიანები ისევ უკან ბრუნდებიან ციხეებში. შეგახსენებთ მუნიციპალიტეტების არჩევნების დროს მომხდარ ფაქტს, როდესაც რატი რეხვიაშვილის დედამ, ქალბატონმა მარინა ქებაძემ ღიად ამხილა დიდუბის პოლიციის უფროსი იმაში, რომ იგი გაურიგდა ქალბატონ მარინას, რომ 120 ხმის სანაცვლოდ მისი შვილისთვის 5 წელი ჩაეთვალათ პირობით გამოსაცდელ ვადად. ეს არის გახმაურებული საქმე. ეს ადამიანი იყო მსჯავრდებული ქურდობისა და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. მის დედას გაურიგდნენ და 120 ხმის სანაცვლოდ სასჯელი შეუმსუბუქეს. შემდეგ კი მას უზნაძის ქუჩაზე ჩადენილი მკვლელობისთვის 30 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს.

**ნინო ქლენტი**

## სავალუტო სისტემა

# „აზიური ვეფხვების“ შემოტევა

**სამ წელზე მეტია, რაც მსოფლიოში ყოვლის მომცველი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, რომელმაც არაერთი ქვეყნის ეკონომიკა და საფინანსო სისტემა დააჩოქა. ამჟამად ფაქტობრივად, არ მოიძებნება ისეთი ქვეყანა, რომელიც ეკონომიკური თუ ფინანსური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის წინაშე არ იდგეს. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში სპეციალისტები, სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები გამოსავლის სხვადასხვა ხერხს განიხილავენ და, უნდა ითქვას, რომ მათგან ერთ-ერთი საგულისხმო ერთიანი სავალუტო სისტემის შექმნაა.**

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ამ იდეას ბევრნი ძალიან სკეპტიკურად უყურებენ, რადგან მისი განხორციელება მეტად პრობლემატური რამაა. ამას თუნდაც ის გარემოება მოწმობს, რომ ისტორიაში მხოლოდ ერთადერთხელ მოხერხდა არა თუ ერთიანი სავალუტო სისტემის ამოქმედება, არამედ ამის თაობაზე მხოლოდ წინასწარი შეთანხმების მიღწევაც კი. კერძოდ, 1944 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ბრაიტონ ვუდში გამართულ გაეროს სავალუტო-ფინანსურ კონფერენციაზე მსოფლიოს 44 ქვეყნის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა საერთაშორისო სავალუტო რეგულირების შეთანხმებას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ კონფერენციაზე გადაწყდა ჩანაფიქრის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტების – მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნა.

უნდა ითქვას, რომ სავალუტო რეგულირების თაობაზე შეთანხმება ვალუტების კურსების სტაბილიზაციასა და მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციას ისახავდა მიზნად. მაშინ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად მოხდა ეროვნული ვალუტების კურსების ოქროსთან და დოლართან ფიქსაცია, ხოლო თავად დოლარს საერთაშორისო სავალუტო რეზერვის ფუნქცია მიენიჭა.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს მიღებულმა სავალუტო სისტემის პრინციპებმა 32 წელს, 1976 წლამდე იარსება, ვიდრე მათი შეცვლის აუცილებლობა დოლარის გაუფასურებამ, მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარმა ცვლილებებმა, წარმოჩენილმა ახალმა რეალიებმა არ განაპირობეს. იმ წელს **კინგსტონში (იამაიკა) გამართულ კონფერენციაზე მსოფლიო ვალუტების გათავისუფლება და მათთვის თავისუფლად კონვერტირების შესაძლებლობების მიცემის გადაწყვეტილება მიიღეს.**

ახლა კი ექსპერტები იმის თაობაზე ლაპარაკობენ, რომ მართალია ამჟამინდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კრიზისთან შედარებაც კი უხერხულია, რადგან მაშინ ლამის ნახევარი მსოფლიო ნანგრევებში იყო მოქცეული, ამიტომ გამოსავლის ძიება ახლავეა საჭირო, ვიდრე მდგომარეობა უკიდურესად არ დაიძაბა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ექსპერტის სავსებით მართებული აზრით, ჩინეთი და რამდენიმე მაღალგანვითარებული სხვა ქვეყანა წელსაც ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალ ტემპს შეინარჩუნებს, მაგრამ მეტ-ნაკლებად იმის არგუმენტირებულად განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ტენდენცია, რამდენად მდგრადი იქნება იგი, არავის შეუძლია. ეს კი, თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური კრიზისის მიქცევ-მოქცევები ევროპასა და ამერიკაში, ისევე, როგორც აზიაში, კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე გაგრძელდება. **ჩვენთვის კი, მიუხედავად არაერთი განცხადებისა, რომ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოზე ნაკლები ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში მცირედად ინტეგრირების გამო, ყოველივე ზემოაღნიშნული იმითაა მნიშვნელოვანი, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, როცა მთელ მსოფლიოში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, ძნელი წარმოსადგენია, რომ ყველაფერმა ამან სერიოზული პრობლემები არ შეგვიქმნას.** ექსპერტთა უმრავლესობის ერთიანი აზრით, უახლოეს ათწლეულში მსოფლიოს ერთიანი სავალუტო სისტემის შექმნა ძალიან ძნელი წარმოსადგენია, თითქმის შეუძლებელი. ეს, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ მსოფლიოში არც ერთი მთავრობა არ იჩენს რაიმე სერიოზულ დაინტერესებას 1944 წლის ბრეიტონ ვუდსის შეთანხმების მსგავსი პროექტისადმი. მაშ, როგორ უნდა განვითარდეს უახლოეს მომავალში მსოფლიო სავალუტო სისტემა, როგორი სახე უნდა ჰქონდეს მას, რომ დამდგარ გამოწვევებს ჯეროვნად გაუმკლავდეს?

ექსპერტებისა და ანალიტიკოსთა აზრით, **ახალი თანამედროვე მსოფლიო სავალუტო სისტემა მულტისავალუტო უნდა იყოს და მასში პირველი როლები ამერიკულ დოლარს, ჩინურ იუანს, იაპონურ იენსა და ევროს უნდა ეკუთვნოდეს.** ამდენად, ორ ახლანდელ ლიდერს – დოლარსა და ევროს ორი „აზიური ვეფხვი“ – ჩინური იუანი და იაპონური იენა მიემატება. ამ კომბინაციაში ყველაზე მეტად არა „ვეფხვთა“ შემოჭრა, არამედ „ბებერი“ ევროს სიცოცხლის გახანგრძლივებაა გასაკვირი, რადგან მიუხედავად ყველა პრობლემისა, რომლის წინაშე ევროზონა უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა, ექსპერტები მაინც ევროს სიცოცხლისუნარიანობის იმედს ინარჩუნებენ, თუმცა კი მისი გაძლიერების შესახებ, ფაქტობრივად, არც არავინ ლაპარაკობს. ამასთან, ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ საკმაოდ არასახარბიელო პერსპექტივებისა, ევროს, როგორც ევროპის ერთიან ვალუტას, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ექნება.

ყველაფრიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, და ამის გამო არც ექსპერტებს აქვთ მაინცდამაინც აზრთა დიდი სხვადასხვაობა, სხვებზე გავლენიან და ლიკვიდურ ვალუტად მაინც დოლარი დარჩება, თუმცა აღნიშნავენ იმასაც, რომ მასაც, ისევე, როგორც იენასა და ევროს, თავისი ქვეყნის საგარეო ვალების ტვირთი ამძიმებს. ამ ფონზე, რომ იტყვიან „კარტ ბლანში“ აქვს იუანს, რომელიც კრედიტორი ქვეყნის ვალუტაა, მაგრამ მის გზაზე დაბრკოლება ისევ ჩინეთის მთავრობაა, რომელსაც მისი სრულად კონვერტირება არ სურს. ასევე ვარაუდობენ, რომ უახლოეს ათწლეულში სიძლიერესა და გავლენას დაკარგავს იაპონური იენა, რადგან, როგორც ვარაუდობენ, იაპონიის ეკონომიკას რეცესიის ტენდენციები ემუქრება. აი, ეს არის ის საასპარეზო მოედანი, სადაც ყველაფერს დოლარი წარმართავს უახლოეს მომავალში. ამასთან, ექსპერტები ფრთხილ ვარაუდებს გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ 2020-იანი წლების დამდეგს მსოფლიოს სარეზერვო ვალუტის კანდიდატებად ინდური რუპია და ბრაზილიური რეალი მოგვევლინონ, რადგან ამ ქვეყნების ეკონომიკა მართლაც არნახული ტემპებით ვითარდება, მაგრამ ამ ვადამდე ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის.

**ოთარ ტურაბელიძე**

რუსული ლაბირინთი

# ივანიშვილმა საქართველოში სიტუაციის გარდატეხის ანონსირება მოახდინა

**ივნისის ბოლოს საქართველოში მოხდება სიტუაციის გარდატეხა ოპოზიციის სასარგებლოდ, განაცხადა სამშაბათს ოპოზიციონერმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელსაც იმედი აქვს, რომ მოიპოვებს გამარჯვებას პარლამენტის ოქტომბრის არჩევნებში, იტყობინება ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი თბილისიდან.**



მშობლიურ ქალაქ საჩხერეში, რომელიც თბილისიდან 180 კილომეტრშია, მოძრაობის ოფისის გახსნაზე მან განაცხადა, რომ წელს უკვე შეძლეს „ეჩვენებინათ ამერიკელებისა და ევროპელებისთვის საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ცრუ დემოკრატია".

მისი სიტყვებით, ამჟამად საქართველოს ხელმძღვანელს აღარ აქვს რეალური მხარდაჭერა.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, პირველად საქართველოში არჩევნების ისტორიაში მიღწეულია შეთანხმება საერთაშორისო მონიტორინგის დაწყების შესახებ კენჭისყრამდე ნახევარი წლით ადრე.

მას მიაჩნია, რომ ამით მოხდება „ხელისუფლებიდან მომავალი ძალადობის" ბალანსირება.

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა მოძრაობისა და სამოქალაქო საზოგადოების რეგიონალური შტაბების, ოპოზიციური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აქტივიზაციის შესახებ.

„მივაღწევთ, რომ პოლიციამ შეწყვიტოს საკუთარი ხალხის დაშინება", — აღნიშნა მან.

21 აპრილს გაიმართება „ქართული ოცნების" დამფუძნებელი ყრილობა.

როგორც სამშაბათს თბილისური გაზეთი „ახალი თაობა" იტყობინებოდა, 2005-2011 წლებში ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში საქველმოქმედო მიზნებისთვის გამოყო 1 მილიარდ 700 მილიონ ლარზე მეტი (დაახლოებით 650 მილიონი დოლარიძ.

კერძოდ, მან დააფინანსა პოლიციის რეფორმა, სამხედრო ბაზების მშენებლობა საჩხერესა და გორში, ბევრი გზის, თეატრისა და სკოლის და ა.შ. რემონტი.

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

---

**საქართველოს გადაწყვეტილება, გამოვიდეს რუსეთთან ხელშეკრულებიდან „ღია ცა", არ უნდა გამხდარიყო სიურპრიზი მოსკოვისთვის, განაცხადა სამშაბათს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გიორგი (გიგა) ბოკერიამ, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი თბილისიდან.**

მისი სიტყვებით, „რუსეთის აგრესიის შემდეგ (2008 წლის ომია მხედველობაშიძ საქართველო პასუხისმგებლობით მოეკიდა თავის ვალდებულებებს საერთაშორისო შეთანხმებებთან დაკავშირებით, არასოდეს არ შეუქმნია რუსეთისთვის პრობლემები ამ თვალსაზრისით". „უბრალოდ, ჩვენ საპასუხოდ იმავეს მოვითხოვდით", — თქვა მან.

„ეს არის ელემენტარული პრინციპი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერადაც რუსეთის მხარემ არ გამოიჩინა კონსტრუქციული მიდგომა", — განაცხადა მან. როგორც ბოკერიას მიაჩნია, „ახლა, დაე, რუსეთმა თავისი თავი თავად დაადანაშაულოს იმაში, თუ რა დაკარგა. დაკარგა კი შესაძლებლობა, რასაც იძლევა შეთანხმება „ღია ცა".

თავის მხრივ,აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩერიკბამ სამშაბათს განაცხადა, რომ საქართველოს უარი „ღია ცის" შესახებ ვალდებულებათა შესრულებაზე აფხაზეთში განსაკუთრებულ შეშფოთებას არ იწვევს. მას იმედი აქვს რუსეთთან საიმედო შეთანხმებისა თავისი საზღვრებისა და საჰაერო სივრცის დაცვის შესახებ, გადმოგვცემს „რია ნოვოსტი".

„ეს ზომა... არის პროვოკაციული და მადესტაბილიზებელი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ამასთან დაკავშირებით აფხაზეთში განსაკუთრებული განგაში არ გაგვაჩნია. ჩვენ გვაქვს საიმედო შეთანხმება რუსეთის მხარესთან ერთობლივი დაცვის შესახებ საზღვრისაც და ცისაც, და საერთოდ, აფხაზეთის ტერიტორიისა", — თქვა აფხაზეთის მინისტრმა მოსკოვში რუსეთელ კოლეგა სერგეი ლავროვთან მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„ასე რომ, ვფიქრობ, საქართველოს ეს მცდელობა — მოახდინოს სიტუაციის დესტაბილიზაცია — ჩაიფუშება", — თქვა მან.

როგორც ჩვენი გაზეთი იტყობინებოდა, 5 აპრილს ცნობილი გახდა, რომ საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება, მოიხსნას ვალდებულებანი „ღია ცის" შეთანხმებასთან დაკავშირებით რუსეთთან, ბრალი დასდო მოსკოვს შეთანხმების პირობების შეუსრულებლობაში.

ორშაბათს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ ლუკაშევიჩმა განაცხადა, რომ, როდესაც დაარღვია შეთანხმება „ღის ცის" შესახებ, საქართველომ გვიჩვენა „საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხების არაკეთილსინდისიერი პოლიტიზაცია", მან აგრეთვე დაარღვია რუსეთის უფლებები.

„ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს უფლებების თვითნებურ დისკრიმინაციულ შეზღუდვებს. საქართველოს მხარის მოქმედებას კი მივყავართ რუსეთის ფედერაციის უფლებების დარღვევასთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და ქმნის სახიფათო

## რუსეთმა თავად დაკარგა „ღია ცა"

პრეცედენტს, რომელმაც რთულ სიტუაციასთან ერთად, რაც უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა საკონსულტაციო კომისიაში „ღია ცასთან" დაკავშირებით, შეიძლება მიგვიყვანოს „ღია ცის" შესახებ ხელშეკრულების დანგრევასთან", — განმარტა დიპლომატმა.

ლუკაშევიჩის სიტყვებით, „ქართული მხარის მოქმედებანი არის საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხების არაკეთილსინდისიერი პოლიტიზაციის ტიპური მაგალითი".

„თბილისში შესანიშნავად ესმით, რომ, როდესაც აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, რუსეთის ფედერაცია მათ მიმართ იყენებს „ღია ცის" შესახებ ხელშეკრულების დებულებებს, რომლებიც კრძალავენ ინსპექციურ ფრენებს იმ სახელმწიფოთა ტერიტორიიდან უშუალო სიახლოვეს (10 კილომეტრიძ, რომლებიც არ მონაწილეობენ „ღია ცის" შესახებ ხელშეკრულებაში", — განაგრძო მან.

„პრაქტიკული თვალსაზრისით, მეთვალყურეობის საშუალებების გამოყენების გათვალისწინებით, ეს შეზღუდვა არაფერს არ ცვლის. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუჭი დაპირებების საპირისპიროდ, იგი მცირედითაც კი არ უქმნის დაბრკოლებას სახელმწიფოთა ინსპექტორებს შევიდნენ რუსეთის ტერიტორიაზე", — თქვა ლუკაშევიჩმა.

დიპლომატმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, „საქართველოს მხარე უკანასკნელი წლების განმავლობაში დაჟინებით ცდილობდა, მიეღო შესაძლებლობა, რომ „ღია ცის" შესახებ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს განეხორციელებინათ საინსპექციო ფრენები რუსეთის ტერიტორიაზე სწორედ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვრების გასწვრივ". „ამ განზრახვათა მიზანია — მიანიშნოს საქართველოს უფლებებზე ამ ტერიტორიების მიმართ, რომლებიც საბოლოოდ გამოეყვნენ მას დანაშაულებრივი სამხედრო ავანტიურის შედეგად, რაც 2008 წელს სააკაშვილმა განახორციელა. ახლა კი ქართული მხარის ამ მცდელობათა კანონიერი წარუმატებლობა საქართველოს მხარემ გადაწყვიტა გამოიყენოს, როგორც საბაბი თავისი ვალდებულებების დარღვევებისთვის „ღია ცის" შესახებ რუსეთთან დამოკიდებულებაში", — აღნიშნა მან.

„თბილისის გადაწყვეტილება თვალსაჩინოდ ავლენს იმ დამამცირებელ დამოკიდებულებას, რასაც იგი ავლენს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების მიმართ შეიარაღებაზე კონტროლისა და ნდობისა და უშიშროების განმტკიცების სფეროში. საქართველოში მიმდინარე შეიარაღების ფონზე არ შეიძლება არ დაისვას საკითხიც იმის შესახებ, თუ რა არის ჭეშმარიტი მიზეზები, რამაც უბიძგა მის ხელისუფლებას არსებითად შეზღუდოს ტრანსპარანტულობა სამხედრო სფეროში. ხომ არ არის ეს ნაბიჯი ახალი სამხედრო ავანტიურების პროლოგისთვის? — ამბობს ლუკაშევიჩი. — რუსეთის ფედერაცია განახორციელებს შექმნილი სიტუაციის გულდასმით ანალიზს და მისი შედეგების შესახებ აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე ყველა ქვეყანას".

ხელშეკრულება „ღია ცის" შესახებ, მიიღო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრმა 27 სახელმწიფომ 1992 წელს ჰელსინკში. მისი მიზანია ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცება ყველა მონაწილისათვის იმ შესაძლებლობების მინიჭებით, რომ ღიად შეაგროვონ ინფორმაცია შეიარაღებული ძალებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც იწვევენ მათ შეშფოთებას. დოკუმენტი ადგენს „ღია ცის" რეჟიმს, რაც საშუალებას აძლევს ხელშეკრულების მონაწილეებს განახორციელონ ერთი-მეორის ტერიტორიების შემოფრენა. ამჟამად შეთანხმების მონაწილე 34 სახელმწიფოა. რუსეთმა შეთანხმების რატიფიკაცია 2001 წლის 26 მაისს მოახდინა.

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

---

## დედამიწის ზურგზე

### მილიარდერ უორენ ბაფეტს კიბო აღმოუჩინეს



აქციონერებისთვის გაკეთებულ სპეციალურ განცხადებაში მილიარდერმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ დაავადება განვითარების საწყის სტადიაშია. ივლისის შუა რიცხვებიდან ის დაიწყებს რადიოთერაპიის ორთვიან კურსს. ბიზნესმენის ქონება შეფასებულია 44 მილიარდ დოლარად, მას „ფორბსის" ვერსიით მდიდრების რეიტინგში მესამე ადგილი უკავია.

### ფინეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა პირს, რომელსაც ბრალი ედებოდა ხიმკის ადმინისტრაციაზე თავდასხმაში



პიოტრ სილაევმა, რომელზეც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ გამოაცხადა საერთაშორისო ძებნა, 2010 წლის ზაფხულში ხიმკის ადმინისტრაციაზე თავდასხმისთვის, ფინეთში საიმიგრაციო სამსახურში მიიღო დოკუმენტები, რომელშიც ნათქვამია, რომ მისი დევნა რუსეთში ხორციელდება პოლიტიკური მოტივებით და მას აძლევენ თავშესაფარს.

### ჯგუფური სექსი ისრაელის პლაჟზე კამერაზე გადაიღეს. მოწმეები: ქალი ათობით მამაკაცს თავგანწირვის გამო ნებდებოდა



გაირკვა, რომ გარყვნილი მოქმედების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ქალის პირადი დრამა, რომელმაც საყვარელი ადამიანის ღალატი იგრძნო. ორგიის ერთ-ერთ მომენტში მან, ერთ-ერთი დამსვენებლის სიტყვებით, დაიყვირა: „ყველა მამაკაცი ნაგავია, ის მღალატობდა".

### დომინიკის რესპუბლიკაში მოკლეს დიპლომატი ტაივანიდან



55 წლის ჯულია უ ბინაში მარტო ცხოვრობდა. მის სხეულზე, პოლიციის ცნობით, შეინიშნებოდა ცივი იარაღისგან მიყენებული ჭრილობები, აგრეთვე ცემის ნიშნები. ბინის კარი ღია იყო. თანამშრომლები, რომლებმაც ვერ შენიშნეს იგი სამუშაოზე, მივიდნენ ქალთან სახლში. მათ ზღურბლზე აღმოაჩინეს სისხლის კვალი.

### აფრიკაში ახალი ომი იმუქრებოდა რუსეთისა და აშშ წაკიდებაზე



ექსპერტები დარწმუნებული არიან: სამხრეთმა სუდანმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა სანავთობო რეგიონის ჰეგლიგის ხელში ჩაგდებაზე. ეს არის საბადოს ძირითადი რეგიონი, რომელიც ჩრდილოეთელთა ხელში რჩება. ეს იმუქრება სუდანის რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი დანგრევით, რაც არ მოეწონება რუსეთს და გამოიწვევს კონფლიქტს გაეროსთან. ამავე დროს, როგორც ხმები გავრცელდა, რუსეთის ფედერაცია და დასავლეთი უკვე „ღებულობენ მონაწილეობას" ორი სუდანის ომში.

### სირიაში დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ხელისუფლებას 200-ზე მეტი ბოევიკი ჩაბარდა



სულ კი — 12 აპრილიდან, როდესაც ძალაში შევიდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მთელს ქვეყანაში იარაღი ჩააბარა დაახლოებით 800-მა კაცმა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისცა დევნისგან გათავისუფლების დაპირება ყველას, „ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს და ვის ხელზეც არ იქნება მშვიდობიან მოქალაქეთა სისხლი".

№72. ხუთშაბათი, 19 აპრილი, 2012 წელი.

რეზერვი — მტერი თუ მოყვარე?

# წითლები და თეთრები

*ნებაყოფლობითი რეზერვის ირგვლივ ატეხილი სკანდალი არ ცხრება, რისთვის გახდა აუცილებელი მისი შექმნა ამ წინასაარჩევნო პერიოდში, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მით უმეტეს, რომ ახალი კონცეფციის მიხედვით, რეზერვს კრიზისულ სიტუაციაში სამოქალაქო ხელისუფლების დაცვის ფუნქცია ეკისრება. ვერ დაგპირდებით, რომ ამ სტატიით ყველაფერს ნათელი მოეფინება, თუმცა მკითხველი ხელისუფლების ჩანაფიქრს, ალბათ, მაინც მიხვდება.*

*presage.tv ეროვნული უშიშროების საბჭოს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორს გიორგი ღიბრაძეს დაუკავშირდა და სთხოვა განემარტა, რას ნიშნავდა ახალ კონცეფციაში ჩანაწერი, რომელიც ტერიტორიული თავდაცვის რეზერვის მიერ კრიზისულ სიტუაციებში სამოქალაქო ხელისუფლებისთვის დახმარების აღმოჩენას ეხება.*

**გიორგი ღიბრაძე:** ეს არის ტექნოგენური კატასტროფა, მასობრივი ხანძარი და ა.შ. ყოველ შემთხვევაში, ის, რისი მიზმაც სურდათ, რომ პოლიტიკურ კრიზისთან ეს რაიმე კავშირშია, ეს არის აბსოლუტური აბსურდი და არასწორი ინტერპრეტაცია თვითონ ნათქვამისა.

**— პოლიტიკური კრიზისი კრიზისად არ ითვლება?**

— პოლიტიკურ კრიზისში რას გულისხმობთ? არა, აბსოლუტური აბსურდია.

**— თქვენ ახსენეთ პოლიტიკური კრიზისი და ჩაგეკითხეთ...**

— მე არ მითქვამს პოლიტიკური კრიზისი, როდესაც ამ თემაზე კომენტარი გავაკეთე. უბრალოდ, შემდეგ წავიკითხე რამდენიმე კომენტარი, რომ კრიზისი შეიძლება იყოს პოლიტიკურიცო, რაც არის აბსოლუტური აბსურდი.

**— სამოქალაქო ხელისუფლებისთვის დახმარების აღმოჩენა რას ნიშნავს, რაში ეხმარებიან საჯარო პირებს რეზერვისტები?**

— მაგალითად, გუბერნატორს ან თვითმმართველობის რომელიმე ერთეულს, რომელსაც ჰყავს სამაშველო სამსახურები, რომლებიც ვერ გაწვდნენ კრიზისს (მაგალითად, ბუნებრივ კატასტროფას) და მათ სჭირდებათ დახმარება. ვთქვათ, მდინარის ნაპირია გასამაგრებელი, ამას პირობითად ვამბობ, და სჭირდებათ, ტომარაში ჩაყრილი ქვიშა, რათა წინაღობა გაუკეთოს წყალს, აი მაგას ნიშნავს.

**— დავუშვათ, რომ არის საარჩევნო პერიოდი და გუბერნატორსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის მწვავე დაპირისპირება მოხდა, არის თუ არა ეს კრიზისული სიტუაცია?**

— არა, არავითარ შემთხვევაში, ეს არის სრული აბსურდი, არანაირი პოლიტიკური დაპირისპირება არ იგულისხმება, მაგისთვის ქვეყანაში არსებობს სამართალდამცავი ორგანოები, რეზერვი ამასთან არაფერ შუაშია, ეს ეხება მხოლოდ ბუნებრივ, ტექნოგენურ კატასტროფებს, ამ დროს რეზერვი არის დამატებითი მუშახელი, რომელიც დაეხმარება ხელისუფლებას კრიზისული სიტუაციის გამოსწორებაში.

**— ხომ შეიძლებოდა, კრიზისის ნაცვლად ჩაწერილიყო ის, რასაც ახლა მეუბნებით, რომ მაგალითად, სტიქიური და ტექნოგენური უბედურების ან ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევაში რეზერვი ვალდებულია, დაეხმაროს სამოქალაქო ხელისუფლებას...**

— ეგ დიდ პრობლემას არ წარმოადგენს და რაკი დავის საგანი გახდა, საბოლოო დოკუმენტში ასეც იქნება, ალბათ. ამ წუთას ვერ ვნახულობ, მაგრამ კანონმდებლობაში, როგორც მახსოვს, ზუსტად არის განმარტებული რას გულისხმობს კრიზისული სიტუაცია და ეს არის ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფა. არანაირ სხვა კრიზისზე ეს დოკუმენტი არ საუბრობს და არც შეიძლება საუბრობდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არასწორი ინტერპრეტაციაა.

**— თქვენ კი მეუბნებით რომ კრიზისი პოლიტიკურ კრიზისს არ ნიშნავს, მაგრამ როცა კონცეფციაში, დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული, რა კრიზისზეა საუბარი, ბუნებრივია, რომ აქ შეიძლება, ყველა სახის კრიზისი იგულისხმებოდეს...**

— ამ შემთხვევაში, ნამდვილად ბუნებრივი კატასტროფების დროს მათი შედეგების ლიკვიდაცია და ამაში ცოცხალი ძალით დახმარება იგულისხმება, რათა არ მოხდეს წყალდიდობის კიდევ უფრო გავრცელება ან ხანძრის კიდევ უფრო გავრცელება. ესეც იმ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ ადგილზე არსებული ძალები ამას ვერ გაწვდება.

**— ქვეყანაში არსებობს ოფიციალური სამაშველო სამსახური, რომელიც შესაბამისი ტექნიკითაც არის აღჭურვილი და დაფინანსებაც აქვს, მათი ფუნქცია სწორედ ასეთი სიტუაციების დროს დახმარებაა...**

— ეგ კიდევ ერთი არასწორი ინტერპრეტაციაა, წეღან გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ სამაშველო ძალა არ ყოფნის წარმოქმნილი კრიზისის შედეგების ლიკვიდაციას ან მის შემცირებას, ამ შემთხვევაში რეზერვი დახმარებას აღმოუჩენს ადგილობრივ ხელისუფლებას.

**— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ რეზერვი ხელისუფლებას ხანძრის ჩაქრობაში დახმარებია?**

— აქამდე არ არსებობდა რეზერვი ასეთი ფორმით, ახლა იქმნება და რაც არ ყოფილა როგორ დაეხმარებოდა...

**— რაკი რეზერვისთვის ასეთი ფუნქციის მინიჭება გახდა საჭირო, ალბათ, ეს მოხდა იმ სტიქიური უბედურებებიდან გამომდინარე, რაც ხშირად ხდება საქართველოში და ხელისუფლება საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდება, თუმცა არ მახსენდება ასეთი შემთხვევები და ეგებ თქვენ შეახსენოთ მკითხველს, კონკრეტულად რის გამო გახდა საჭირო, რეზერვისთვის სამოქალაქო ხელისუფლების დახმარების ფუნქცია მიენიჭებინათ...**

— ალბათ, იყო ასეთი შემთხვევები...

**— საქართველო არ არის ის ქვეყანა, სადაც ცუნამები ან ყოველთვე დამანგრეველი მიწისძვრებია, რომ დამატებითი ძალა იყოს საჭირო...**

— თუ გახდება საჭირო, ჩვენ ასეთი ძალა გვეყოლება!

**ლალი ზირაქიშვილი**



შეკითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვს



# რა მოგვიტანა ე. წ. „ვარდების რევოლუციამ?“

როგორია ჩვენი დღევანდელობა, იძლევა იგი ოპტიმიზმის საფუძველს?

რევოლუციის შემდეგ ჩვენ ხელისუფალთა განუსაზღვრელი უფლებამოსილების შედეგად მოხდა ღირებულებათა სისტემის ნგრევა, ეროვნულ ფასეულობათა უარყოფა, დედაეკლესიის როლის დაკნინება, ტერორი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ძალადობის, ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება, მოქალაქეთა სიცოცხლის უფლების, ღირსების ხელყოფა, კერძო საკუთრების კანონდარღვევით ჩამორთმევა, დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა, თავისუფალი აზრის დევნა, პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა სამსახურიდან გათავისუფლება, დაპატიმრება, უმუშევრობის საოცრად მაღალი მაჩვენებელი. საგანგაშოა პატიმართა რიცხვის, მათი წამების და სიკვდილიანობის ზრდა საპატიმროებში, მშვიდობიანი აქციების არაერთი სასტიკი დარბევა, მეცნიერების, განათლების, ღვაწლმოსილ ადამიანთა დაუფასებლობა, არაპროფესიონალიზმის აღზევება, ხელისუფლების წარმომადგენელთა პოლიტიკური და ყოფითი კულტურის უაღრესად დაბალი დონე, აგრესიის, ტყუილის, ქილიკის მომძლავრება, მძიმე სოციალური მდგომარეობა, მაღალი კომუნალური გადასახადები, დაბალი პენსიები, ვეტერანთა, რეპრესირებულთა უფლებების სრული დაუცველობა, ჯანდაცვის სრულიად გაუმართავი სისტემა, ეკოლოგიური უკულტურობა — უმოწყალოდ გაჩეხილი ტყის მასივები, გაჩანაგებული ქართული სოფლები, ბიზნესზე ტერორი, საეჭვო ტენდერები და ინვესტიციები, მშენებლობის სფეროში სრული უვიცობა, უგემოვნებობა, სიბეცე საგარეო პოლიტიკაში, რუსეთისათვის სტრატეგიული ობიექტების დაქვემდებარება, აგვისტოს უაზრო ომი, დაკარგული ტერიტორიები, კოდორის ხეობის ზემო აფხაზეთად და ახალგორის ცხინვალის რეგიონად გამოცხადება, დიდძალი მსხვერპლი, ბრძოლის ველზე უპატრონოდ დატოვებული დაუმარხავი მეომრები, ათასობით დევნილი, მათი შესახლება ხავსმოკიდებულ შენობებში, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების გარეშე და, იმავდროულად, ხელისუფალთა ფეშენებელური სახლები და აგარაკები, მათი მოგზაურობანი საზღვარგარეთ, გართობა და დასვენება უძვირეს სასტუმროებში, რესტორნებში, ტოტალურად გაყალბებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები და მრავალი სხვა.

ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შედეგისა. ისმის კითხვა: რას ვუტოვებთ მომავალ თაობას? როგორია ქვეყნის მომავალი?

გაამართლა კი კეთილხმოვანი სახელმწიფოების მქონე ამ რევოლუციამ? ხომ არ იყო იგი დიდი შეცდომა.

**ლონდა მდივანი.**

**P. S. რევოლუციასთან დაკავშირებით მახსენდება მ. ბულგაკოვის სიტყვები მისი ერთ-ერთი ესედან („მომავალი პერსპექტივები“): „ჩვენი სამშობლო სირცხვილის ორმოს ფსკერზეა, სადაც იგი შეაგდო „დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ“... საჭიროა ვზღოთ წარსულისთვის. ჩვენ იძულებული ვიქნებით ვუთხრათ ჩვენს შვილებს — გადაიხადეთ საფასური და მუდამ გახსოვდეთ სოციალისტური რევოლუცია“.**

**ლ. დ.**

ტელესიახლე

# ახლა ქართველი ნერონიდიც ამოვარსკვლავდა!

**ცნობილია:** როცა კვდებოდა, რომის იმპერატორმა, პატივმოყვარე, სასტიკმა და გარყვნილმა ტირანმა ნერონმა, წამოიძახა: ოჰ, რა მსახიობი ვიღუპებიო!

**ერთგვარ მსახიობურ ნიჭს ის მართლაც ამჟღავნებდა.**

**ისტორია გამეორების სპეციალისტია: ნერონის არაერთი მიმდევარი ნერონიდი ვიცით. ტირანული ბუნების პერსონებს დიახაც ახასიათებთ მსახიობობისადმი მიდრეკილება:**

**არავიძე არიებს მღეროდა და ლექსებს წარმოთქვამდა** („მონანიება“ძ.

**ჰიტლერი ვიოლინოს აწრიპინებდა.**

**პუტინი და ბუში ცეკვის ილეთებს აცოდვილებდნენ.**

არც საქართველო დარჩენილა ვალში — სახელმწიფო ტელეარხებზე გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი. **მექსიკურ ტელესერიალებს უკვე ტოლს აღარ უდებს საakaშვილის გაუთავებელი ტელემარათონი.**

რაც უფრო ახლოვდება მისი პოლიტიკისაგან გარდაუვალი ჩამოშორების დრო და მავანს ერთი ორგანოს ჟიმჟიმი ხშირად ახსენებს თავს, მით უფრო უძლიერდება სამსახიობო ჟინი.

**აი, ასე ამოვარსკვლავდა ახალი ქართველი ნერონიდი.**

უყურეთ ამ ტელესერიალებს: ჩართეთ I არხი; აქ რომ დასრულდება I სერია, გადართეთ „რუსთავი-2“-ზე და იქ II სერიას იხილავთ; მერმედ „იმედი“ III სერიას შემოგაშველებთ; შემდეგ ისევ I ჩართეთ და ა. შ.

**წრე ულალატოდ ბრუნავს და ტრიალებს, როგორც „ბოლეროს“ მელოდია.**

მართალია, ყველაფერი ეს ისევე გულისამრევია, როგორც ეთერ კაკულიას მეტყველება, მაგრამ სახელმწიფო არხებს ხომ მოსწონთ? სხვათა შორის, — ნაცხელების უმრავლესობასაც.

**არ გვეეჭვება: არჩევნების მოახლოებასთან ერთად ნერონიდი კიდევ უფრო გააქტიურდება.**

**და ჩვენს ტელესივრცეში უაზრო ბჟუტურის ხვედრითი წილიც გაიზრდება.**

**ვაი, იმ ტელემაყურებლის ბრალი, რომელიც იოლად ტყუვდება, თორემ მე და ჩემნაირებს რა გვიჭირს: ამ არხებს საერთოდ არა ვრთავთ, ვუყურებთ მხოლოდ მაშინ, როცა სახოხმარიკო მასალებს დავეძებთ.**

**მურმანუს კესარიუსი,**
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი სახელმწიფო ტელენაკრძალში.

„ზარდაგი“

# „დინამო“ ამას არ იმსახურებს





**როცა თბილისის „დინამოს“ მფლობელი (ოფიციალურად – პრეზიდენტი) წარმატებული ბიზნესმენი რომან ფიფია გახდა, სახელოვანი კლუბის გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს – გვეშველა და ეგააო.**

მათი ოპტიმიზმი განსაკუთრებით მას შემდეგ განმტკიცდა, რაც პოპულარული ევროპული ბრენდი ესპანურ რელსებზე გადავიდა და ალექს გარსიას წინამძღოლობით დიღმის ბაზაზე ოფლის ღვრა მისმა თანამემამულეებმაც დაიწყეს.

თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა – „თეთრ-ლურჯებმა“ ევროპის ლიგის რამდენიმე ეტაპი დაძლიეს და მხოლოდ ჯგუფური რაუნდის ზღურბლთან დაუცდათ ფეხი – გემახსოვრებათ, ათენის აეკთან საპასუხო მატჩის დამატებით დროში ლორიას კარში დანიშნული საბედისწერო პენალტი.

აი, აქედან მოყოლებული, აირია კიდეც მონასტერი – საერთაშორისო სარბიელზე ღირსეულად სათამაშოდ ფორსირებულად მზადებამ თავი მოგვიანებით, ეროვნულ ჩემპიონატსა და დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაში იჩინა, ჯოხი კი, როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, მწვრთნელზე გადატყდა. უცნაური ის იყო, რომ ქირურგიული ჩარევა შუა სეზონში განხორციელდა და პირენეელი სპეციალისტი უსაქმოდ ისე დარჩა, საქართველოში დაბრუნების ღირსადაც არ ჩათვალეს – მას განაჩენი სამშობლოშივე გააცნეს, სადაც ბიჭები შეკრებაზე ჰყავდა წაყვანილი.

რამდენადაც მოულოდნელი აღმოჩნდა გარსიასთან გამოთხოვება, იმდენად გაგვიკვირდა მის შემცვლელად არჩევანის ახალგაზრდა გიორგი დევდარიანზე შეჩერება. მართალია, „ცქიფო“ ბავშვებთან და ჭაბუკებთან ნაყოფიერად თანამშრომლობდა, მაგრამ უმაღლესი ლიგის კოლექტივი, მით უმეტეს ისეთი ამბიციური, როგორიც თბილისის „დინამოა“, დაგვეთანხმებით, მაინც სხვაა. ვინმემ შეიძლება შეგვახსენოს, მას ხომ „თბილისში“ წარმატებული მოღვაწეობითაც ვიცნობთ, სადაც გოგუა, ხოჯავა და აფციაური დააფრთიანაო, მაგრამ მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ასეა თუ ისე, უფროსობის სრული ნდობით აღჭურვილმა დევდარიანმა ახალი გამოწვევა და დებიუტი ზედიზედ ოთხი გამარჯვებით აღნიშნა, მათ შორის ორი უკანასკნელ წამებზე გამოიჭედა.

აი, რა მოხდა ამის შემდეგ, ძნელი ასახსნელია – ზედიზედ შვიდი შეხვედრა ფრედ აქამდე დინამოელთა არცერთ თაოზას არ დაუმთავრებია და, ალბათ, კიდევ კარგა ხნის განმავლობაში დარჩება რეკორდად. ის, რაც ზოგისთვის რებუსს წარმოადგენს, „ცქიფოსთვის“ პოსტის დატოვების მიზეზად იქცა. ან მოსვლა რა იყო, ან წასვლაო – იკითხავთ, ალბათ, როცა მის რამდენიმეთვიან გაელვებაზე გააკეთებთ აქცენტს, მაგრამ არც იმ არგუმენტს უნდა წავუყრუოთ, რომელიც ურმის გადაბრუნების შემდეგ გაჟღერდა – ბიჭებთან კომუნიკაციის დამყარება გამიჭირდაო. დალოცვილო, კარისკენ დაუმარცხებლად მიგითითეს და რამდენად სარწმუნოა ასეთი გამამართლებელი საბუთი – თუ ვინმეს არ ეპიტნავებოდი, საქართველოში ერთი თამაშის ჩაშვებას ვერ მოახერხებდნენ, თქვენი ოფსაიდში დატოვებისათვის საფუძველი რომ შეემზადებინათ? სხვათა შორის, მთლად კარგად რომ არ იყო საქმე, მაშინ უნდა მივმხვდარიყავით, როცა ბრძოლის ველს ესპანელთა ტრანსფერების სულისჩამდგმელი ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ პოლოლიკაშვილი გაერიდა, თუმცა ამ ფაქტს ყურადღება თითქმის არავინ მიაქცია. საინტერესოა, აწი რაღას იტყვიან – მთავარ მწვრთნელთან ერთად ხომ კლუბის სპორტულმა დირექტორმა გიორგი ნემსაძემაც განაცხადა გადადგომის თაობაზე.



რაც შეეხება ახალ თავკაცს, კიდევ ერთხელ ამოტივტივდა კახი ცხადაძის გვარი, თუმცა მან გარკვევით მიანიშნა ყველას – ამჟამად ბაქოს „ინტერით“ ვარ დაკავებული და „დინამოში“ დაბრუნებაზე საუბარი ნაადრევიაო.

კიდევ უფრო ბუნდოვნად გვესახება ომარ თეთრაძის პერსპექტივა, რომელმაც ამას წინათ ნალჩიკის „სპარტაკში“ ჩაუშვა ღუზა.

მოკლედ, „დინამოში“ „ზარდაგი“ გრძელდება.

**გია პლატონიშვილი**

მხატვრული ტანვარჯიში



# სამაიას გასამებული ბრინჯაო

**იტალიურ პეზაროში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 30 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ახალგაზრდებში შესანიშნავად იასპარეზა ქართველთა ტრიომ გაბრიელა ხვედელიძემ, სალომე ფაჟავამ და სოფიო ფარულავამ გუნდურში 103,200 ქულა მოაგროვეს და მე-3 ადგილი დაიკავეს. პირველ-მეორე ადგილებზე, შესაბამისად, რუსები (105,875) და ბელარუსები (105,625) გავიდნენ. ჩვენმა გოგონებმა თითქმის ორ-ორი ქულით ჩამოიტოვეს საპრიზო ადგილების რეალური კანდიდატები – მასპინძლები და ბულგარელები.**

ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა თითოეული საგნით ფინალშიც იასპარეზეს და იქაც ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. ნელი სალაძის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის აღსაზრდელმა სალომე ფაჟავამ ლენტით ვარჯიშში 26.000 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილს დასჯერდა. ასევე მესამე იყო რგოლით ვარჯიშში გაბრიელა ხვედელიძე (25.800ძ, ხოლო ბურზებით (25.750ძ მე-4 ადგილს დაყაბულდა. სოფიო ფარულავამ ბურთით (25.950ძ ბულგარელ ჟენინა ტრაშლიევასთან ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილები გაინაწილა.

ქართველი ტანმოვარჯიშეებისთვის ეს შეჯიბრება მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო იუნიორთა ევროპის პირველობისთვის, რომელსაც ივნისის დასაწყისში ნიჟნი-ნოვგოროდი უმასპინძლებს.

**ლექსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# ჯობავა რეიტინგფავორიტია



**საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერ ბაადურ ჯობავას, რომელიც 2700-იანთა კლუბის წევრია (მისი რეიტინგია 2706), ხშირად უასპარეზია არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გამართულ საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირებში და წარმატებითაც.** იგი ამჟამად დუბაიში შეიხ რაშიდ ბინ ჰამდან ალ მაკტუმის თასის გათამაშებაში მონაწილეობს და ამ შეჯიბრების რეიტინგფავორიტია. დუბაიში ჯობავასთან ერთად საპრიზო ადგილებისთვის ლევან ფანცულაია, მიხეილ მჭედლიშვილი, დავით არუთინიანი და სოფიკო ხუხაშვილიც იბრძვიან. მე-2 ტურში ჯობავამ ზავი ფიგურებით ინდოელ ნიტინი დაამარცხა, მჭედლიშვილმა ალ ქუდაიმს (იემენიძ აჯობა, ფანცულაიამ – ტემიროვს (ყაზახეთიძ, არუთინიანმა – ჰრაბინკას (უკრაინაძ, ხუხაშვილმა სომეხ ვლადიმირ აკოფიანთან წააგო.

შეჯიბრება, რომლის საპრიზო ფონდია 50.000 დოლარი, 23 აპრილს დამთავრდება, შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება და გამარჯვებული 10.000 დოლარით დაჯილდოვდება.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# რეპეტიცია „ალიანს არენაზე“

**მადრიდის „რეალი“ ესპანეთის წლევანდელ ჩემპიონატში მეტოქეთა უმეტესობისგან ქვას ქვაზე არ ტოვებს და უკვე 107(!) გოლი გაიტანა, მაგრამ ერთია პრიმერადივიზიონი და სულ სხვა განზომილებაა ჩემპიონთა ლიგა.**

„სამეფო კლუბი“ ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში სათამაშოდ აქამდე ცხრაჯერ ჩავიდა მიუნხენში და აქედან რვაჯერ დამარცხებულმა დატოვა ბავარია. და აი, მეათე ვიზიტი და მორიგი იმედგაცრუება.

**„ბაიერნი“ – „რეალი“ 2:1 (1:0).**

**გოლები:** რიბერი, გომესი; იოზილი.



მართალია, რეკორდმაისტერმა ბუნდესლიგის სეზონი ჩააგდო, მაგრამ მის დამატებით მოტივაციაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა – 19 მაისს „ალიანს არენა“ ლიგის ფინალს უმასპინძლებს, საკუთარ სარბიელზე ტრიუმფი კი, დაგვეთანხმებით, ბევრ „იალლიშს“ ჩამოწერს.

პირველი ტაიმისა და დასკვნითი ნახევარი საათის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ ერთმანეთის პირისპირ ორი დიდი გუნდი იდგა, ასე რომ, რომელმაც არ უნდა გაიკაფოს საბოლოოდ გზა გადამწყვეტი შეხვედრისკენ, ალბათ, შესანიშნავ სანახაობას შემოგვთავაზებს.

რაც შეეხება შედეგს, იგი წყვილის ფავორიტობას პირენეელებს უქადის, თუმცა ნურც კასტილიელთა ბოლოდროინდელ გაფლანგულ ქულებს დავივიწყებთ. ალარაფერს ვამბობთ დისკვალიფიკაციის საფრთხეზე, რომელიც ნახევარ გუნდს ემუქრება – წაგებულ ბრძოლაში გაფრთხილება 6 სტუმარმა მიიღო.

**გიორგი შოთაძე**

**გუშინ**

**საქართველოს სტადიონებზე გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

**„მეტალურგი“ – „ზესტაფონი“ 0:1 (1:1),**

**„დილა“ – „გაგრა“ 0:1 (2:1).**

**ასე რომ, 26 მაისს ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ზესტაფონი“ და გორის „დილა“.**

ჭიდაობა

# საგზურებისთვის – სოფიაში

**ბულგარეთის დედაქალაქი 20-22 აპრილს ევროპის ზონის სალიცენზიო ტურნირს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ის მოჭიდავეები იასპარეზებენ, რომლებსაც ლონდონის 2012 წლის საგზურები აქვთ მოსაპოვებელი.** ამ მხრივ ქართველ „თავისუფლებს“ უკეთ აქვთ საქმე. მათ შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდ ბრიტანეთში გასამგზავრებელი ოთხი ადგილი დაიჯავშნეს (მალხაზ ზარქუა – 60, დავით ხუციშვილი – 74, დავით მარსაგიშვილი – 84, დავით მოძმანაშვილი – 120ძ, სამ წონაში კი ვლადიმერ ხინჩეგაშვილს (55 კგძ, ზურაბ იაკობაშვილს (სოფიაში იჭიდავებსძ ან ოთარ თუშიშვილს (ჩინეთში იბრძოლებს საგზურისთვის. – ორივე – 66 კგძ და გიორგი გოგშელიძეს (96ძ სალონდონოდ რეალური შანსი შემორჩათ.



უფრო რთულადაა მდგომარეობა „კლასიკურში“ – აქ ჯერჯერობით ერთადერთი ლიცენზიატია მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის პრიზიორი მანუჩარ ცხადაია (66 კგძ. სოფიაში კი საგზურებისთვის იჭიდავებენ: გოდერძი დავითაძე (55ძ, ფირუზ წულუკიძე (60ძ, ზურაბ დათუნაშვილი (74ძ, რევაზ ნადარეიშვილი (84ძ, სერგო გოგისვანიძე (120ძ და ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორი სანდრო დიხამინჯია (96ძ, რომელმაც დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე საკონტროლი შეხვედრებისას ირაკლი ქაჯაიას და მსოფლიოს და ორგზის ევროპის ჩემპიონს, ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსან რამაზ ნოზაძეს აჯობა.

**გივი გაგუა**

ვაიმე, ენავ! | რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი

# ტიტრებს ადევნებული შეცდომები

ქართული ენის წინააღმდეგ ამხედრებულთა შორის საკუთარ ადგილს იმკვიდრებს ტიტრები. დღევანდელ ავმოქართულეთა შეცდომები აქაც უხვადაა წარმოდგენილი. უწინარეს ყოვლისა, ეს არის კალკები. მაგალითად, ასეთი: **„ქალი ვარდებით“** (უნდა – **ვარდებიანი ქალი; ქალი, რომელსაც ხელთ ვარდები უპყრია**); კაცი კვდება, მალე ფეხს გაჭიმავს, მეორე კი ეკითხება: **„კარგად ხარ?“** არადა კარგად როგორღა იქნება? ეჭვი არაა, ეს ინგლისური გამოთქმის პირდაპირი, გაუაზრებელი გადმოტანაა!

განსაკუთრებით ხშირია კავშირებითის ფორმების მაგიერ სხვა მწკრივების მომარჯვება: „ბატონებო, გთხოვთ, **შეიკარით** ღვედები!“ ხაზგასმულის ნაცვლად უნდა ყოფილიყო **„შეიკრათ“** (იგულისხმება – რომ შეიკრათ); „თუ რამეს **მოახერხებთ,** გამაგებინეთ!“ ხაზგასმულის სანაცვლოდ გამოდგებოდა **„მოახერხოთ“** (იგულისხმება – რომ რაიმე მოახერხოთ); „გთხოვთ, **მაპატიე,** რომ **არ** მოვედი!“ უნდა: „გთხოვ, **მაპატიო,** რომ **ვერ** მოვედი! (იგულისხმება – რომ მაპატიო).

სტილური უმწეობაა: **„მომხდარზე** გამოძიება დაიწყო“. უნდა: **„მომხდარის** გამოძიება დაიწყო“; „ამიტომ ღირს **ასეთი** ძვირი“ კი არა, „ამიტომ ღირს **ასე** ძვირი“; **„ანტუანს რაც ეხება, მე მასთან საქმის დაჭერა არ მინდა“.** უნდა იყოს: **„რაც შეეხება ანტუანს, მასთან საქმის დაჭერა არა მსურს“.**

თანდებულიან სახელს რომ მიცემითის ნიშანი ეკარგება, არც ეს იციან ტიტრებმა: **„შენს გვერდით“** (უნდა – **შენ გვერდით**); **„ჩემს მიერ“** (უნდა – **ჩემ მიერ**); სამაგიეროდ „ს“ უნარჩუნდება სახელს, თუ მას მოსდევს აზრიანი სიტყვა (არათანდებულიანი): **„ჩემ მეგობარსა“** და **„თქვენ პედაგოგებს“** კი არა, **„ჩემს მეგობარსა“** და **„თქვენს პედაგოგებს“.**

ასეთია ტიტრებს ადევნებული ზოგი შეცდომა, რომელთაც უნდა ვერიდოთ.

მოსაზრება

# კვლავ აბრევიატურების შესახებ

**ზოგი ფიქრობს, რომ ჩვენი დედაენა (მართლაც სამწუხაროდ, გადედინაცვალებული) შემოკლებებს (აბრევიატურებს) ძნელად ჰგუობს; არადა, მაგალითად, გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) და ცესკო (ცენტრალური საარჩევნო კომისია) კარგა ხანია, რაც მეტყველებაშიც „ჩამჯდარია“ და წერაშიც.**

ქართული მეცნიერების ცნობილი შტაბის დასახელება ოთხი სიტყვისგან შედგება: „**ს**აქართველოს **მ**ეცნიერებათა **ე**როვნული **ა**კადემია; რატომ არ შეიძლება შესაბამისი აბრევიატურის შემოღება ვცადოთ – **„სმეა“;** ეს ხომ ეკონომიას მოგვიტანს ლაპარაკისას და წერისას, თან ბრუნვებსაც არ იუცხოვებს – სმეამ, სმეას, სმეაის... „პრაქტიკული“ მაგალითებიც მოვიყვანოთ: სმეამ ღირსეულად აღნიშნა თავისი 70 წლისთავი; დიდი ხანია, რაც სმეაში არჩევნები არ ჩატარებულა...

ასევე ოთხსიტყვიანია სახელწოდება „**ს**აქართველოს **ა**ხალგაზრდა **ი**ურისტთა **ა**სოციაცია“ და რა უჭირს, თუ იმასაც შევამოკლებთ – **„საია“:** „საია, საიამ, საიაში...

ვსარგებლობ შემთხვევით და მკითხველის ყურადღებას სამ მცდარად „ფეხმოკიდებულ“ აბრევიატურას მივაპყრობ: **მედპერსონალი, ორგკომიტეტი** და **რედკოლეგია**. ეს სიმცდარე მართებული რუსულიდან მექანიკურად გადმოღების შედეგია: медперсонал (медицинский персонал), оргкомитет (организационный комитет), редколлегия (редакционная коллегия); ის სამი ქართული შემოკლება რომ გავშალოთ, გვექნება „მედიცინის პერსონალი“, „ორგანიზაციული კომიტეტი“ და „რედაქციული კოლეგია“ – სამივე უსწორო; ამგვარად, მოგვიწევს რუსული медперсонал-ს ქართულად ორსიტყვა შევუსაბამოთ – სამედიცინო პერსონალი, оргкомитет-ს საორგანიზაციო კომიტეტი და редколлегия-ს სარედაქციო კოლეგია... არადა, მცდარი „ორგკომიტეტი“ და „რედკოლეგია“ სოლიდურ დაწესებულებათა განცხადებებში, პროგრამებსა თუ მოსაწვევ ბარათებში შემხვედრია...

რაკი შეცდომებზეა ლაპარაკი, დღესაც ასე მკვიდრად შემორჩენილი **„გეპეი“**-ც ვახსენოთ. ის სწორი რუსული აბრევიატურიდან ГПИ (Грузинский политехнический институт) თავიდანვე უხეირო გადმოღების პროდუქტი გახლავთ და თავის დროზე მართებული იქნებოდა **სპი** (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ან, „გამოსათქმელად“, **„სეპეი“**; ახლა რომ კვლავ გეპეი-ს ვხმარობთ, შინაარსობრივ ცოდვასაც ჩავდივართ, რადგან ეს უმაღლესი სასწავლებელი ხომ დიდი ხანია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტად“ იწოდება და თუ აბრევიატურაზე მიდგება საქმე, **სტუ** ეკუთვნის (სტუმ, სტუს, სტუზე და ა. შ.).

კიდევ უფრო გასაკვირია, რომ მრავალი წლის სიგრძეზე შეცდომით ვამბობდით და ვწერდით „ცეკა“, ეს შეცდომა კი არავის არ შეუმჩნევია, არავის არ „გაუპროტესტებია“. იმისი წარმოშობა მარტივი ასახსნელია: რუსულიდან ისევ ავტომატური გადმოღება. რუსული ენა ხომ მახვილიანია და „центральный комитет“-ს თუ წერენ, თქმით „ცენტრალნი კამიტეტს“ ამბობენ და „ცეკა“ ასე გაიკეთეს. ჩვენ კი სულ ადრე ეს არ გავითვალისწინეთ და იმის მაგიერ, რომ „ცენტრალური კომიტეტი“ შეგვემოკლებინა **„ცეკო“**-დ, ქართულადაც ვხმარობდით „ცეკა“... რაღა დროს ცეკააო, ეგებ შეგვეპასუხონ, მაგრამ „ცეკაც“ ჩვენი ახალი ისტორიის ნაწილია და ვიცოდეთ ამ შეცდომაზეც, რა უჭირს; გარდა ამისა, ამჟამადაც, „ასავალ-დასავალში“ რომ ჯუმბერ პატიაშვილთან ინტერვიუები გაგრძელებებით იბეჭდება, ბატონი ჯუმბერი მოგონებებში ხმარობს „მე ცეკას მდივანი ვიყავი“, „ცეკაში დავიბარეთ, „ცეკამ ასე გადაწყვიტა“... ეგების დროა, რომ ჩვენს მოგონებებსა თუ მემუარებში „გეპეისაც“ შეველიოთ და „ცეკასაც“ და სწორი შესაბამისი აბრევიატურები მოვიხმოთ.

**თამაზ ებანოიძე**

ხელოვნება

# ზურაბ გოგოხია

ზუგდიდის საზოგადოებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება, ბრწყინვალე ოჯახის უფროსი, სიკეთითა და ქველმოქმედებით აღიარებული, ყველასათვის ახლობელი ძმა და მეგობარი **ზურაბ ვარლამის ძე გოგოხია**.



მან თავისი ცხოვრების გზა მართლაც რომ ვაჟკაცურად განვლო. დაიბადა ზუგდიდში 1939 წლის 23 სექტემბერს. ახალგაზრდობიდანვე ჩაერთო შრომით საქმიანობაში, წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღო უმაღლესი განათლება. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, განსაკუთრებით გამოირჩა საქმისადმი დიდი ალღოთი და ორგანიზატორული ნიჭით, როდესაც სრულიად ახალგაზრდა სათავეში ჩაუდგა ზუგდიდის ლუდისა და ხილეული წყლების საწარმოს, რომელსაც თითქმის 50 წლის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობდა. მთელი რიგი ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, სიახლის დიდი გრძნობით ყოველდღე სრულყოფდა საწარმოს საქმიანობას, ქარხანა აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობებით და მთელს საქართველოში ერთ-ერთ აღიარებულ ობიექტად გადააქცია. სწორედ ბატონი ზურაბისთანა ავტორიტეტულ პიროვნებას შეეძლო ყველაფერი გაეკეთებინა ისეთ მძიმე და რთულ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში განუკითხაობა სუფევდა, დაინგრა არაერთი საწარმო, ძვირადღირებული ობიექტები თავისი დანადგარებით, ხოლო მისი დიდი გარჯითა და თავდადებით, როგორც იტყვიან ერთი დეტალი არ დაკლებია წარმოებას, ხოლო შემდგომ, როდესაც აილაგმა სხვადასხვა ჯურის მოძალადეები, ბატონმა ზურაბმა კიდევ უფრო განავითარა ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გახადა მთელი ტერიტორია და, რაც მთავარია, მუშაობა არ შეუწყვეტია. დასაქმებული ადამიანები გასამრჯელოს დროულად იღებდნენ, რაც იმ დროისათვის ესოდენ დიდ პრობლემად ითვლებოდა;

მისი შინაარსიანი ცხოვრებიდან გამოსაყოფია რამდენიმე შტრიხი: ყველა კატეგორიის და განსაკუთრებით რიგით ადამიანებთან თბილი და კეთილმოსურნე დამოკიდებულება ჰქონდა, მათი სატკივრის გულთან მიტანა, მდგომარეობის შემსუბუქება და უანგარო დახმარება შეეძლო, რითაც მართლაც გამორჩეული გახლდათ. არც ერთი ღირსეული და გაჭირვებული ადამიანის ქველმოქმედება, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური პერიოდისა, არავისთვის არ დაუკლია – საკუთარს იკლებდა და სხვას უწილადებდა, რითაც მისი მოქმედება უდიდეს მადლს ჰფენდა გაჭირვებაში მყოფთ.

ბატონი ზურაბი, როგორც მეგობარი, ძმობისა და ერთობის განსახიერება, საუკუნეების განმავლობაში გამოწრთობილი ქართული წეს-ჩვეულებების მიმდევარი და ტრადიციების დამცველი, გამორჩეული სტუმარმასპინძლობით გამოირჩეოდა, რითაც განუსაზღვრელ სითბოსა და სიყვარულს იმკვიდრებდა. ოჯახური თბილი ურთიერთდამოკიდებულებით, სიმტკიცით და სიყვარულით მისი მეუღლე – ქალბატონი გულიკო, შვილები: პაატა და ირაკლი სახელოვან კოჰორტას ქმნიდნენ საზოგადოებაში.

საზოგადოებამ, მთელმა სამეგობრომ დაკარგა ღირსეული ვაჟკაცი, ძნელბედობის ჟამს მხარში ამომდგომი, თავისი ხალხის, სამშობლოს დიდი პატრიოტი, ოჯახმა – ღირსეული მეუღლე, მამა და საყვარელი ბაბუა – ზურაბ ვარლამის ძე გოგოხია.

მსუბუქი იყოს ზუგდიდის მადლიანი მშობლიური მიწა, რომელიც გულზე დაეყრება. ამბობენ, აღდგომის დღეებში უფლის მიერ სულის მიღება თურმე განსაკუთრებულ ადამიანთა ხვედრია...

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული ზეციურ საქართველოში.

მეგობრების სახელით
**გურამ გუნავა**

---

**საზოგადოება „ზუგდიდელის“ სახელით, ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ანზორ შონია, მურმან ნაჭყებია, ჯემალ კვირტია, ოთარ და ლერი ჭითანავები, შოთა კიკალიშვილი, თამაზ გაფრინდაშვილი, ჯუმბერ ქვარაია, ზურაბ ჩიქავა, კახა არდია, კარლო ვეკუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი, საპატიო ზუგდიდელი**

**ზურაბ გოგოხია**

**და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.**

ხელოვნება

# ავთანდილ პოპიაშვილი



უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ქართველ მხატვართა დიდი ოჯახის წევრი, ნიჭიერი ფერმწერი ბ-ნი **ავთანდილ პოპიაშვილი**. იგი დაიბადა 1944 წელს, 1967 წელს დაამთავრა თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, ხოლო 1976 წელს – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. ა. პოპიაშვილი ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. იგი მონაწილეობდა მრავალ სამხატვრო გამოფენებში როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

1976 წლიდან ორგანიზებული იყო მხატვრის არაერთი პერსონალური გამოფენა როგორც თბილისში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც: ტალინში – „არტ-გალერეაში“, მოსკოვში – კულტურის ცენტრ „მზიურში“, მოსკოვის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში.

ბ-ნი ავთანდილი დაუშრეტელი ენერგიისა და თავის სამშობლოზე შეყვარებული პიროვნება იყო. მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული, რის საფუძველზეც შექმნილია მისი ბრწყინვალე ფერწერული ტილოები.

მხატვრის ნაწარმოებები ყოველთვის იპყრობდნენ ყურადღებას და აღინიშნებოდნენ პრესასა და ტელევიზიით. იგი დაჯილდოებულია არაერთი მედლით, სიგელითა თუ პრემიით.

ბ-ნი ა. პოპიაშვილი მონაწილეობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მხატვართა II ბიენალეში თბილისში, სადაც მისმა ნამუშევარმა პირველი პრემია და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ასევე მონაწილეობდა ქუთაისის ფერმწერთა IV საერთაშორისო პლენერში და იქ შექმნილი რამდენიმე ნამუშევარი საჩუქრად გადასცა ქუთაისის სახვითი ხელოვნების მუზეუმს.

ბ-ნი ავთანდილის ნაწარმოებები დაცულია თბილისისა და ქუთაისის სახვითი ხელოვნების მუზეუმებში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, საქართველოს, რუსეთის, ბულგარეთის, საფრანგეთისა და საბერძნეთის კერძო კოლექციებში.

ბ-ნი ა. პოპიაშვილი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელსა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. წლების მანძილზე იყო საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი და ფერწერის სექციის თავმჯდომარე.

წავიდა ჩვენგან შემოქმედი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი და დაგვიტოვა დიდი ტკივილი. მისი სახელი დიდხანს დარჩება ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირი.

ინფორმაცია

# ანქვაბზე თავდასხმის მონაწილეები სუიციდით „დაავადნენ“

**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმაში კიდევ ერთმა ექვმიტანილმა თავი მოიკლა. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.**

ექვმიტანილმა თემურ ხუტაბამ სოხუმის იზოლატორში ჩამოიხრჩო თავი. იმავე დღეს, დაკავების ოპერაციისას, პისტოლეტით თავი მოიკლა ამავე თავდასხმის ორგანიზებასთან კავშირში ექვმიტანილმა ალმასბეი კჩაჩმამ, რომელიც ყოფილი დე ფაქტო შს მინისტრი და უშიშროების საბჭოს მდივანი იყო.

დაკავებისას თვითმკვლელობა სცადა კიდევ ერთმა ექვმიტანილმა მურმან საქანიამ. მან ყელი გამოიჭრა, თუმცა ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის ავტომობილს და მის კორტეჟს გუდაუთა-სოხუმის გზაზე 22 თებერვალს, 08:30 საათზე დაესხნენ თავს. თავად ანქვაბი არ დაშავებულა, თუმცა დაიჭრა მისი პირადი დაცვის სამი წევრი, რომელთაგან ორი გარდაიცვალა.

---

**მანანა (მანჩო) და მამუკა ვაშაკიძეები ოჯახებით იუწყებიან ბიძის, უკეთილშობილესი პიროვნების**

**ბადრი ვაშაკიძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

## დაიჯესტი

### ძვირფასი და უფრო მეტი იმპერატორი



**გამორიცხული არ არის, რომ სხვა ძაღლიც, რომელიც თუნდაც ამ ტიბეტური მასტიფის ნახევარი მაინც ღირს, ასევე დაიზარებდა საკუთარი ფეხით სიარულს, როგორც ეს მილიონ 583 ათას დოლარად ღირებული ულამაზესი ხვადი, რომელსაც იმპერატორი ჰქვია.**

ცოტა ხნის წინათ ჩინეთში გამართულ აუქციონზე იმპერატორი სწორედ ამ ასტრონომიულ თანხად გაიყიდა, თუმცა კი ჩვეულებრივ ამ ჯიშის ლეკვების ფასი – 150 ათას დოლარზე მეტი არ არის (!ძ.

### მისადგმელიანი მანქანა

**გერმანელმა ინჟინერმა ლუდვიგ ალერმა ორნაწილიანი ავტომანქანის ორიგინალური კონსტრუქცია დაამუშავა. პირველ ვარიანტში ესაა ქალაქში სასიარულოდ მოსახერხებელი და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ეკონომიური, 2,55 მეტრის სიგრძის ოთხბორბლიანი მანქანა.** ხოლო თუ პატრონს სალონში მეტი ადგილი დასჭირდა, მანქანას უკნიდან 0,88 მეტრის სიგრძის ორბორბლიანი მოდული ედგმება, ავტომობილი კი ექვსბორბლიანი ხდება. „აპერის“ მილოვან რაფაზე დამაგრებული ძარა ხელოვნური ბოჭკოსგანაა დამზადებული და მას მცირელიტრაჟიანი „ფოლქსვაგენის“ ძრავა უდგას.



### „ჩეჩნური დესანტი“ დუბაიში

**არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ჩეჩნეთის პირველი პირის რამზან კადიროვის მეუღლის მედნის მიერ დაარსებულმა მოდის სახლმა „ფირდოუსიმ“ 25 მარტს ტანსაცმლის ახალი კოლექცია „ლედი ჩეჩნეთი“ წარადგინა, რომელიც რესპუბლიკის პირველ ქალბატონს მიეძღვნა.**

გროზნოელმა დიზაინერებმა თავიანთი ნამუშევრები რუსეთის ფარგლებს გარეთ პირველად გაიტანეს. საიტის „რუსული ემერატების“ ცნობით დეფილე მდიდრული „უან ენდ ონლი როიალ მირეჯ ოტელის“ ამფითეატრის სცენაზე გაიმართა, რომელსაც ჩეჩნეთის ეროვნული სახელმწიფო ასამბლის მსახიობთა გამოსვლა ახლდა. დიზაინერებმა 70-ზე მეტი აღმოსავლურ სტილში მოქარგული, ნახევრადძვირფასი ქვებით და კრისტალებით, ასევე ფრანგული მაქმანებით გაწყობილი ხავერდის, შიფონისა და აბრეშუმის მუსლიმანური სადამოსა და ყოველდღიური სამოსელი წარადგინეს.

– დარწმუნებული ვარ, რომ დუბაიში ჩვენება – ესაა პირველი გადადგმული ნაბიჯი ახლო აღმოსავლეთში მოდის დასაპყრობად, – განაცხადა მედნი კადიროვამ.

ცოტა ხანში ჩეჩნეთის პირველი ლედის მოდის სახლის წარმომადგენელთა მონაწილეობით მსგავსი შოუს ჩატარება საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადშია დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთის თავკაცის მეუღლე ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მაღაზიათა ქსელის გახსნას აპირებს.

### ფოსტალიონი ბარი



**სენბერნარი ბარი შვეიცარიის ალპებში... ფოსტალიონად მუშაობს: მას ფოსტა ერთ-ერთი სათხილამურო კურორტის სასტუმროში მიაქვს.**

სასტუმრო „მონბლანი“ მთის წვერზეა განთავსებული და ველთან ბაგირიანი აწევითაა დაკავშირებული. დაბის ფოსტაში ბარის კისერზე გაზეთებიან ტყავის ჩანთას ჰკიდებენ და ოთხფეხა ფოსტალიონი აწევს სავარძელში დინჯად ჯდება. ბარის არც სიმაღლისა ეშინია და არც ირგვლივ სეირის მოყვარული მოთხილამურეების მხიარულ შეძახილებს აქცევს ყურადღებას.

### უტვინობის აპოთეოზი

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის სულელობას ზღვარი არა აქვს, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს 35 წლის ვილი ბერიენმა და 31 წლის ვალო რაიტმა, რომლებმაც ფლორიდის შტატის ქალაქ ლეიკლენდში რესტორანი „ჩიკენ ჩაკი“ გაძარცვეს.**

მათ რესტორნიდან ლუდი და... საფირმო მაისურები წაიღეს. ცოტა ხანში პოლიციამ მეზობელ ქუჩაზე არხეინად მოსეირნე მძარცველები დააკავა. მათ მოწმეთა აღწერით შედგენილი ფოტორობოტებით ამოცნობაც არ დასჭირდათ, რადგან ხელში რესტორნის ეტიკეტიანი ლუდის ბოთლები ეჭირათ, ტანთ კი „ჩიკენ ჩაკის“ მაისურები ეცვათ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

გუშინდელი გაზეთებიდან



### მერაბიშვილი ნასვამ ქალებს დაერია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კვლევის საინტერესო შედეგი გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, ცენტრმა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კვლევა ჩაატარა. ერთი კვლევა ეხებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს ავტოსაგზაო მიმართულებით, ხოლო მეორე – სტატისტიკურ მონაცემებს მართვის მოწმობის გაცემის შესახებ. კვლევის შედეგად ისიც გაირკვა, რომ ალკოჰოლური სიმთვრალით გამოწვეული სამართალდარღვევების კუთხით „ლიდერობენ“ 50 წელს გადაცილებული ქალბატონები, რომელთა მიმართაც სამინისტრო მკაცრ სანქციებს გაატარებს.

„ახალი თაობა“.

### როკის გვირაბი 3 წლით ნაწილობრივ ჩაიკეტება

24 აპრილს შუადღიდან რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით როკის გვირაბი 3 წლით იკეტება. მოძრაობა განხორციელდება პარალელური ტექნიკური გვირაბის საშუალებით, რომელიც ბევრად ვიწროა, ამიტომ იგი მხოლოდ დაბალგაბარიტიან ტრანსპორტს გაატარებს.

„რეზონანსი“.

### გიგა ბოკერია სააკაშვილის წინააღმდეგ

კულუარული ინფორმაციების საფუძველზე, ანალიტიკოსები პირად საუბრებში საინტერესო ვერსიაზე მსჯელობენ, რომლის მიხედვითაც, გიგა ბოკერია „ნაცმოძრაობისა“ და სააკაშვილისგან დამოუკიდებელ თამაშს თამაშობს და ცდილობს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის, თეთრ სახლსაც საკუთარი პერსონა უკეთესად დადებით კონტექსტში გააცნოს.

„ქართული სიტყვა“

### სააკაშვილი უკვე „თეთრი ხალათის“ ჩასაცმელად ემზადება

სააკაშვილის არაადეკვატურობას, სრულ ჭკუაზე აღარ ყოფნას, „თეთრი ხალათის ჩასაცმელად“ მზადყოფნას 9 აპრილს სიტყვებით გამოსვლა და ქვეცნობიერად თეთრ პიჯაკში გამოწყობაც ადასტურებს. მთელი გამოსვლა, ფაქტობრივად, 9 აპრილისა და აგვისტოს ომის პარალელს დაუთმო, საომარი რიტორიკის გათვალისწინებით იგი, თითქოს, ისევ „ვიღაცასთან“ ომისთვის ემზადება.

„სახალხო გაზეთი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

## ანეკდოტები

– არ გრცხვენიათ, ქუჩაში რომ მათხოვრობთ?

– აბა, რას მირჩევ, ოფისი გავხსნა?

* * *

– ოფიციანტო!

– ჰაჯან!

– ჩემს წვნიანში ტარაკანა ფართხალებს.

– თავდაღმაა თუ გულაღმა?

– გულაღმა.

– ეგ მოცეკვავეა, კლიენტებისთვის „ბრეიკს“ ცეკვავს.

* * *

რუსული ენის გაკვეთილი ქუთაისში. გიგლა მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

– აბა, ვინ გაარჩევს გრამატიკულად წინადადებას „მამა ს პაპოი პაშლი ვ ბანიუ“? ხელს წევს პატარა ლადო.



– აბა, მიპასუხე, – ეუბნება მასწავლებელი.

– მამა – პოდლეჟაშჩეე, პაპა – ნადლეჟაშჩეე, ა ბანია ეტო პრედლოგ, – პასუხობს ლადო.

– მალადეც, – ამბობს ბატონი გიგლა, – ნო ზნაი, პაპა მოჟეტ ბიტ ნადლეჟაშჩიმ ი პოდლეჟაშჩიმ, ა ბანია, ეტო მესტო იმენია!!

* * *

მიხოს კოჭლი შვილი ჰყავდა, რომელმაც, ომში უნდა წავიდეო, ამოიჩემა...

– სად უნდა წახვიდე, გინდა აქ მე მანერვიულო და იქ სნაიპერი აწვალო?

* * *

პატარა მიხო სკოლიდან გაბრაზებული დაბრუნდა:

– მორჩა. სკოლაში აღარ წავალ!

– რატომ?

– კითხვა მე არ ვიცი და წერა, თან ლაპარაკსაც მიშლიან!

* * *

– უკაცრავად, ცენტრალური საარჩევნო კომისიაა?

– დიახ.

– პრეზიდენტობა მინდა!

– გიჟი ხარ?

– ეგ აუცილებელი მოთხოვნაა?

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24